

3-47.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# საბავშვო საზოგადოებრივი სამუშაო



1928

სახეცვლილება

№ 21

# ჩვენი ვიკტორინა

## პასუხი ვიკტორინას 2-ზე სერიამ

1. ს. ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარეა ამხ. მახათაძე.
2. ბაქოს პროლეტარიატის ბელადები.
3. ფუთი უფრო შიშვეა, ფუთში 16,37 კილოგრამია.
4. ფესბურთის თამაში ბავშვებს ვნებს სხეულის ზრდის საბოლოო დასრულებამდე.
5. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი გამოშვებულია სუთასი მილიონი მანეთის.
6. საჭესი, რიონჭესი, აბჭესი და აჭჭესი.
7. ეველახე ძლიერი ელსადგური არის „კოლსოვისტროი“
8. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობასე 1903 წელს მომხდარ განხეთქილების დროს ლენინს მხარი დაუჭირა უმრავლესობამ, აქედან წარმოსდგა სასელწოდება ბოლშევიკები (მეუმრავლესენი) და მენშევიკები (მეუძვირესენი)
9. ამხ ი. ჯუღაშვილი.
10. ეიფელის კოშკი საფრანკეთშია.
11. სის მაგერ თუჯის ან სპილენძის ტარები, რომ გაეკეთებიათ, ის ხელს დასწავადა.
12. ტფილისის ჰიონერების რიცხვი, ოქტომბრელების გამოკლებით, დაახლოებით ექვსიათას უდრის.
13. ჰიონერ-ორგანიზაცია საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა ქალაქ ტფილისში 1922 წლის 27 ნოემბერს.
14. ტომარგაფია ისეთი მუცნიერებაა, რომელიც სწავლობს ადგილმდებარეობას და მის აკეგმვას.
15. საქ. ჰიონერ-ორგანიზაციის არსებობის ექვსი წლის თავისრულდება ამა წლის 27. ნოემბერს.
16. კბილების სისუფიზვე საჭიროა იმისათვის, რომ ევბრძოლოთ კბილის ბაქტერიებს, რომელნიც ადაძანის ჯანძრთელობას დიდ ხარალს აუენებენ.
17. ბუსი, კოლო, ბაღლინჯო, რწეილი და სხვა.
18. საბჭოთა კავშირს უჭირავს მთელი დედამიწის ერთი მექვსედი.
19. თუთუნის მხამი-ნიკოტინია.
20. საქართველოს დედაქალაქი ტფილისია.



### ზ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვ.		გვ.
1. ს. ბ. კ. ორგანიზაციის არსებობის ექვსი წლის თავი—ა.კ. მახათაძე . . . . .	2	7. კომკავშირის ათი წელი—აღ. ს—ვა . . . . .	15
2. მაშხალეზით მოიგერია—ს. მთვარაძე . . . . .	3	8. აფრიკის ტყეებსა და ველებში—დ. ლებედევი . . . . .	16
3. მორიგი შემცვლელი—ტ. დარიაშვილი . . . . .	7	9. ინგლისი—აღ. გარგაძე . . . . .	19
4. შემოქმედება სოფლად—ს. ერთაწმინდელი . . . . .	7	10. ჩვენი ცხოვრება და მუშაობა . . . . .	22
6. იოპპან და ბერტა—ს. ერთაწმინდელი . . . . .	8	11. ბავშთა შემოქმედება . . . . .	24
5. ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავი . . . . .	8	12. მგზავრული მუსიკა—გ. კოკელაძის . . . . .	25



329.153 (051)



კ-47 მუშათა კლასის საქმისათვის იწამს მუსალი

# კომუნისტი

1928

15 ნოემბერი

საქართველოს მ. კ. პ. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრს) და განათლების სახალხო კომისარიატის სფიკალური აღწერის მთავარმართველდების ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი III  
№ 21

ჩვენი ხელმძღვანელები.



საქ. ბ. კ. პ. ცენტრალური ბიუროს პრეზიდიუმი.

# ს. ბ. კ. ო. არსებობის აქვს წლის თავი.

27 ნოემბერს სრულდება საქ. ბ. კ. ო. ექვსი წლის თავი. 6 წლის განვლილი მუშაობა რომ შევაფასოთ, საჭიროა ვიცოდეთ ის პირობები, რომელშიც უსდებოდა ბ. კ. ო. მუშაობა და განვითარება. ლ. კ. კ. ხელმძღვანელების ქვეშ.

1922 წელს საქ. ბ. კ. ო. სახეებით დაჯახლდნენ თავისი განვითარების ახალ პირობებს, რამაც ხელი შეუწყო ამავე წელს მოწვეულ საკავშირო მე-5 ყრილობას ახალი საკითხების გადაჭრაში, მათ შორის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საკითხის გადაჭრაში, რისთვისაც საუკეთესო ფორმად მიჩნეულ იქნა „ორი პიონერთა ორგანიზაცია“.

ამ დღიდან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში დაიწყო ნ. ბ. ო. დაარსება. საქართველოში პირობებში ამ მუშაობის დაწყება და საერთოდ ორგანიზაციის ჩამოყალიბება არც ისე ადვილი იყო, რადგან საქართველომ გასაბჭოების პირველ წელს ფაქტიურად მენშევიზმის მხარით მოწამლული „შეგარდენის“ ორგანიზაციები არსებობდა, და თუ ისინი ყოველმხრივ არ იქნებოდნენ განადგურებული, ისე არ მოხერხდებოდა ნ. ბ. ო. ჩამოყალიბება.

ამან გამოიწვია ორგანიზაციის დაგვიანებით ჩამოყალიბება. კომკავშირის მტკიცე ხელმძღვანელობით, ნ. ბ. ო. ორგანიზაციებმა დაარსების დღიდანვე მიიბჰერდ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყურადღება; ორგანიზაციის რიცხვობრივი ზრდა კი შემდეგი სახით მიმდინარეობდა: 1922 წ. ორგანიზაციაში ირიცხებოდა 10,331 წევრი, 1925 წელს—34,511, 1926 წ.—57,391, 1927 წ.—70,876, 1928 წლის დასაწყისში — 85,754, 1928 წლის ივლისში კი 94,412. ამ წინსვლის განმავლობაში ნ. ბ. ო. რიცხვობრივ ზრდას თანდათანობით მისდევდა თვისობრივი ზრდაც.

როგორც მდგომარეობა არის და როგორ მუშაობს საქ. ბ. კ. ო. თავისი არსებობის 6 წლის თავზე? დღეს ორგანიზაციას თვალსაჩინო მიხწევები აქვს და მასთან, რა თქმა უნდა, ნაკლიც.

ქალაქად კლუბებში, ბიბლიოთეკებში და სოფლად ქოხ-სამკითხველოებში ჩვენ გვაქვს პიონერთა კუთხეები, მაგრამ ისინი ლიტერატურით ძალიან დარბიი არიან; თუ შეგვხვებით კედლის გასეთებს, ამ დარგშიც არის თვალსაჩინო მიხწევები.

რაც შეეხება ინტერნაციონალურ აღზრდას, ჩვენ ორგანიზაციაში ეს მუშაობა დღევანდელ ყირობებთან შეფარდებით, ვერ გვაძლევს დამაკმაყოფილებელ სურათს და ამიტომ საჭიროა მისი გაძლიერება; ეს მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო საზღვარგარეთულ ორგანიზაციებთან კავშირში, არამედ თვით აქაც, სხვადასხვა ეროვნებათა ბავშვებს შორისაც, უნდა გაძლიერდეს ეს მუშაობა გინაიდან ჩვენი მოწინააღმდეგე კლასების ნამსხვრევები ცდილობენ განსაკუ-

თრებით სკოლებში ეროვნული შედლის გადგივებას. ამ საქმის სწორედ წარმართვისათვის კი საჭიროა მთელი ჩვენი გამოცდილებისა და ძალების დაჭიმვა.

მიუხედავად იმისა, რომ ანტირელიგიური აღზრდას დიდი ყურადღება ეძლევა, მიხწევები ძალიან ცოტაა, ამიტომ მომავალში ეს მუშაობაც უნდა გაძლიერდეს, განსაკუთრებით სოფლად და ჩამორჩენილ კუთხეებში. ის ფაქტი, რომ აჭარაში ჯერ გიდევ რელიგიური სკოლები რიცხვით კონკურენციას უწევან შრომის სკოლებს, მოწმობს, რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

გასამხედროების დარგში კი აუცილებლად თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. ქვეყნის სამხედრო თავდაცვის უნარიანობის გაზრდის საკითხმა საკმაოდ გამოხმაურება ჰპოვა ბ. კ. ორგანიზაციაში. ამ მიღწევების შენარჩუნება და განმტკიცება კი აუცილებელია. სათანადო მიღწევები გვაქვს დღეს-დღეობით საზოგადოებრივ საზოგადოებრივ—სასარგებლო მუშაობაში და სხვა.

რა გვაქვს უმთავრესი ნაკლი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ?

1) დღემდე ვერ შეგძელით პიონერ-სახელოვნების მიღწეობა, რომელიც ბავშვთა შრომითი აღზრდის მთავარი დასაყრდენია.

2) მიუხედავად სასკოლო ცხოვრების დაპყრობისა, მაინც არის ჩვენდამი საწინააღმდეგო მიდრეკილებანი, უმთავრესად მასწავლებლობის მცირე ნაწილში.

3) დღემდე ძალზე ცუდადაა დაყენებული საბავშვო სახლებში მუშაობა.

4) ვერ ვაწარმოებთ გადამჭრელ მუშაობას. სათანადო ორგანიზაციებთან ერთად, ბავშვთა უბრალოდობასთან ბრძოლისათვის.

5) ძალზე ცუდ მდგომარეობაშია ოქტომბრული შრომის მუშაობა.

6) უნდა გავაღრმავოთ წინამძღოლების ცოდნა, გაავაძლიეროთ მათი სოციალური ხარისხი და პასუხისმგებლობის გრძობა.

7) სუსტია საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება ბ. კ. ორგანიზაციებისადმი, როგორც იდეური, ისე ნივთიერი მხრით.

8) ვერ არის კარგ მდგომარეობაში ბ. ბეჭდვითი სიტყვის გავრცელება და კულტურულ ძალთა სათანადო გამოყენება ჩვენს მუშაობაში.

აი ასეთია საქ. ბ. კ. ო. მუშაობის მდგომარეობა 6 წლის თავზე. მიუხედავად იმისა, რომ, დიდ მიღწევებთან ერთად, ამდენი ნაკლი გვაქვს, ეს ჩვენ არ გვაშინებს და კომკავშირის მტკიცე ხელმძღვანელობით მას გადავლახავთ უახლეს ხანში.

ამის სრული იმედიით გადადის საქ. ბ. კ. ო. თავისი არსებობის მეშვიდე წელში.

აკ. მახათაძე.

## მშრომელთა ბავშვთა! დაიკავით ლენინის დროშის ქვეშ, დაიკავით პიონერთა რიგებში.



მთხრობა

დიდი სიცივე და თოვლი იყო. ხანგამოშვებით ამოვარდნილი გრივალი ნამქერით ავსებდა რკინის გზის ლიანდაგებს, შარავზებს და ხევ-ხუვებს. სოფელი ქალაქს მოსწყდა, ქალაქი სოფელს. მოძრაობა შეფერხდა. საზამთროდ შემონახული საზრდო თითქმის აღარავის დარჩა, ხოლო ვისაც დარჩა, ძალიან ცოტა. საქონელი სიცივით ეხოცებოდა გლეხკაცობას. მინდვრად მდგომარე ცხვრის ფარა ბევრ ადგილას თოვლის ნამქერებმა შთანთქა. სოფლებიდან ღარიბი გლეხები კარგახანია დაიფანტენ ქალაქებში სამუშაოდ.

გივას მამამ აღრევე იგრძნო მოსალოდნელი საშიშროება და რამდენიმე კვირის წინათ წავიდა ცოტაოდენი სარჩოს საშოვნელად.

გივას მამის წასვლიდან სამმა კვირამ განვლო, იგი კი არ ჩანდა. კვირაზე მეტია, რაც სოფლებებს ორთქლმავლის კვიელი აღარ გაუფონიათ. ლიანდაგის შავი ხაზები თოვლის ზევემა დაჰფარა.

— ალბათ, უგზოობის გამო ვეღარ მოდის ის კაცი — სთქვა ერთ საღამოს გივას დედამ. იმას ყველანი დაეთანხმენ და გული დაიმშვიდეს.

გივა პატარა ბიჭია, 12-13 წლის. ოჯახში მამის მაგიერობას ის სწევს: საქონელს უვლის, შეშას სჭრის, წყალს ეზიდება და კიდევ, ვინ იცის, რამდენ რამეს აკეთებს, როგორც კარგი ვაჟკაცი, ისე ტრიანლებს. მისთვის ყველაფერი სახალისო და სასიამოვნო გასაკეთებელია. როგორც გინდა დაიგვიანოს მამამ, ის უიშისობას არ აგრძნობინებს სახლს. დედა შეჰხარის თავის შრომისმოყვარე მოზარდს.

— გენაცვალე, ჩემო იმედო! — ბუტბუტებს ის, როდესაც გივა მუშაობს. გივა გრძნობს მშობლის იღუმალ აღერსს და ერთი-ათასად მხნეობს. ხუმრობა ხომ არ არის? ამ ცივ ზამთარში უსაქმოდ ყოფნა სიკვდილია, მაგრამ აი უბედურობა: ამ საღამოთი მისი უმცროსი და თამრიკო ავად გახდა, ს ცხე მისცა და კუდრაქა გოგონას ბოლვა დააწყებინა.

გივა მაშინვე გაქანდა სოფელში მყოფ დამზღვევ სალაროს ექიმთან. ექიმი მოვიდა და გულდასმით გასინჯა ავადმყოფი.

— ნუ გეშინიათ! — სთქვა მან. — ავადმყოფობა თავისთავად საშიშარია, მაგრამ, თუ წამლები დროზე უშოვეთ, მალე მორჩება!

ექიმმა გამოსწერა წამლები და რჩევა - დარბების მიცემის შემდეგ წავიდა. გივა მაშინვე გაქანდა აფთიაქში.

— არა გვაქვს. გზები დაკეტილია და კარგახანია აღარ მიგვიღია წამლები!.. განუცხადეს მას აფთიაქში. პატარა ბიჭს ელდა ეცა. რაღა ეშველება ეხლა, სად იშოვოს წამალი, რომ თავისი საყვარელი და მოარჩინოს!? აი, თუ გინდა, უბედურობა ამას ჰქვან! თუ წამალი ვერ იშოვა, იმისი და უსათუოდ მოკვდება... მოკვდება პატარა, ლამაზი თამრიკო! ის აღარ ილაპარაკებს, აღარც ირბენს, დახუჭავს თვალებს და კუბოში ჩაასვენებენ. დედა სიმწრით თმებს დაიგლეჯს, გივაც იტირებს, ძალიან ბევრს იტირებს. მერე გადაფხეკენ თოვლს, გასთხრიან მიწას და იქ... იქ ორმოში ჩაასვენებენ სამუდამოდ!

პატარა ბიჭს სიმწრისაგან გააჟრჟოლა. იგი შინი-საკენ შეშურებოდა. გული ბოლმით ჰქონდა სავსე. რით უნდა ანუგეოს დედა?

— ოხ, მამა! ნეტავი აქ მაინც იყო ეხლა!? — ახლა-კი ინატრა ბავშვმა. მაგრამ მამა რაღას უშველის, თუ-კი წამალი არ იშოვება? ბევრი-ბევრი, ქალაქში წავ დეს და იქიდან მოიტანოს წამალი! გივას ამის მოგონებაზე თვალები იმედით გაუბრწყინდა. ნუთუ თვითონ ის ვერ წავა ქალაქში? რა შორს ის არის! გზაც კარგად იცის, რამდენჯერ გაჰყოლია მამას შეშის გასაყიდად!.. არა, გივა წავა, უსათუოდ წავა ქალაქში წამლის საყიდლოდ, თუ თავისი დის სიკვდილი არ უნდა!.. რაც გინდა დაემართოს, ოღონდ პატარა გოგო სიკვდილს გამოტაცოს ხელიდან! იგი მტკიცე გადაწყვეტილებით შევიდა სახლში.



ბიონერები ოქტომბრის საზეიმო დემონსტრაციაზე.

— იშოვე წამალი?—მაშინვე იკითხა დედამ.

— არა აქვთ!..—უპასუხა გიგამ. შუახნის დედა-კაცს მწუხარებისაგან სახე დაელმიჯა და ტირილი დაიწყო.

— მაშ რაღა მეშველება ეხლა? იმ კაცს რა ვუთხრა, თუ ამ გოგოს რამე დაემართა.

გიგამ ვაჟკაცურად დაჰკრა მხარზე ხელი დედას და უთხრა:

— დედი, ნუ სტირი! მე წავალ ქალაქში წამლის მოსატანად...

იმის ხმაში იმდენად მტკიცე გადაწყვეტილება ისმოდა, რომ დედა გაოცდა.

— შენ? რას ამბობ, შვილო, ეგ შეუძლებელია!

— რათა, დედა?

— იმიტომ, რომ გზები თოვლით არის საფხე, ჩაფელობი სადმე, ან ბუქი დაგახრჩობს. ეგეც რომ არ იყოს, სოფელს გასცდები თუ არა, მშიერი მგლების ხროვა ირევა!..

— ეგ არაფერია! მინდორში ბევრჯერ ვყოფილვარ მარტოკა!—უშიშრად უპასუხა გიგამ.

— ზაფხულში სხვა არის, ეხლა სხვა! ზამთარში მგელი სიმშობის გამო მსუნავია და ადამიანზეც იწევს. არა, შვილო, არა! შენც დამელუბები!

დედამ ისევ ტირილი დაიწყო.

გიგა ღრმად ჩაფიქრდა. მას მოაგონდა მამის დარიგება: თუ ცეცხლი გინთია, ნადირი ანლოს ვერ მოგვეკარება! მაგრამ როგორ წაილოს ცეცხლი? მუგუზალი ამხელა გზაზე თუნდაც ასჯერ გაუქრება. ასანთი ხომ სულ საიმედო არ არის! მაშ რა ჰქნას? თოფი მას არა აქვს და ხმალი!.. პატარა თავში აზრები ჭიანჭველასავით აფუსფუსდა.

— დედა! დედა! თუ ჩვენი თამბიკოს სიცოცხლე გინდა, ჩქარა მიშოვე ჩვრები. ჩქარა, დედი!.. შენი ჭირიმე!

მწუხარე დედამ ტირილი შესწყვიტა და გაკვირვებულმა დაუწყო შვილს ყურება.

— რას ამბობ, შვილო!—ძლივს სთქვა მან.

— ჩქარა, დედი, ჩქარა!.. გიგამ ამ ღროს თავისი გრძელი კომბალი რამდენიმე ნაწილად გასჭრა. დედა იძულებული გახდა მიეტანა მისთვის ჩვრები. პატარა ბიჭმა ისინი სწრაფად დაახვია გადაჭრილი კომბლის ნაჭრებს თითო წვერზე და მაგრად შეჰკრა კანაფით. მოკლე ჯოხების ცალი წვერი ბურთებს დაემსგავსა. გიგამ ისინი ნავით გაჟღინთა და შესძახა:

— აი, დედა, მაშხალები. თუ მგლები დამესენ, ამით მოვიგერიებ!.. თოვლისა კი არ მეშინია, ჩვენი ცხენი ყოჩაღია!



— არ იქნება, შეილო, არა...

— მაცა, დედა, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. აბა, ყური დაუფდევ თამრიკოს გმინვას, განა არ გეცოდება!?... დედამ ისევ ტირილი დაიწყო, გიგა კი სასწრაფოდ გავარდა კარში და ცხენი შეკაზმა. შემდეგ ერთი ბოთლი ნავთი პატარა ხურჯინში ჩადგა: თუ ვინცობაა მაშხალები გაშრა, ის კვლავ გაჟღენთავს მათ.

— აბა, გიგა, მალე! ყოჩაღად მოიქეცი! საკუთარი დაც რომ არ იყოს, თუკი მომაკვდავ ადამიანს გადაარჩენ, ამაზე მეტი გმირობა ნულა გინდა! — ეუბნებოდა ის თავის თავს. ასანთით და მაშხალებით შეიარაღებული გიგა გაქროლდა თოვლით გადაგლესილ მინდვრებზე.

II

სქელი თოვლით დაფენილ ველებზე სიჩუმეა. ხანდახან ნიავის წამოჭროლაზე დაიწრიბინებს ობლად მდგარი ბუჩქის გაშიშვლებული ტოტი. ალაგ - ალაგ მოჩანს ამობურთული გორაკები, რომელნიც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს განგებ შეუხვეტია ვისმე თოვლი და თივის ბულუღივით დაუდგავსო. სადღაც ხევში-ლა მოჩანს მიწა შავი წინწყლებივით. ზაფხულის მწვანე და წითელ-ყვითელ ფერადებს თან სდევს ს თბო, სიხალისე და მხიარული ჟივილ-ხივილი, ერთფეროვან თეთრ ზამთარს კი სიცივე, სიჩუმე და გულდასაღვეი სიწყნარე.

დაბინდდა შარავნები დაფარულია თოვლით. ჯერ იქ ფეხი არავის დაუდგამს. ან ვინ გაბედავს ამ სიცივესა და ქარში? მაგრამ არა, აგერ გამოჩნდა ვიღაც თავხედი მხედარი. მისი ცხენი მუხლებამდე ეფლობა თოვლში, ის კი მინც მოდის და ცდილობს, რამდენათაც შეიძლება, ჩქარა იაროს.

— აჩუ, ქურან! — ხანგამოშვებით უკივის თავის მერანს პატარა ბიჭი.

უცნაური მყუდროებით შემკრთალი ცხენი ამ ხმაზე ფეხიზღდება და უმატებს ნაბიჯს. არაფერი არა ჩანს არც წინ და არც უკან. ძირს თოვლია, სქელი თოვლი, და ცაში — მძიმე ლეგა ღრუბლები. თეთრი თოვლის სისპეტაკე შუქს აყენებს მიდამოს და ამით ძალას უკარგავს ნისლიანი ღამის უკუნეთობას. ეს დიდი ბედნიერებაა ეული მგზავრ-სათვის. ვინ არის ის? ის არის მამაცი, უშიშარი გიგა.

— ვერ შემაშინებთ, ველებო, თქვენი სიჩუმით და სამარისებური მყუდროებით, — ჩუმად ლაპარაკობს იგი, — მე მივდივარ ქალაქს. ჩემი ერთადერთი დარდი ის არის, რომ ავადმყოფ დას არ დაეუგვიანო წამალი.

— აჩუ, ქურან! — უკივის კვლავ იგი თავის ცხენს და ისიც ნაბიჯს აშურებს. მხედარი წუთით

პატარა გორაკს მოეფარა, შემდეგ დაცემულ ტრიალ ველზე გავიდა. დაბერა ცივმა ნიავემა და გიგას ყინულივით გაველისა სახეზე.

დაბნელდა. ცის ტატნობზე გათოშილი ღრუბლები დაიძრნ. გიგა მიხვდა, რომ მალე ქარი ამოვარდებოდა. მან უფრო ააჩქარა ფიცხი ბედაური. ნახევარი გზა გავლილი აქვს, საცაა ჩავა ქალაქში. გარშემო კი ისევ სამარისებური ღუმელია და ხანდახან ღონიერი ნიავის ნელი, ძალიან ნელი ხმაური.

— ყმუუუუ... — მოისმა გულშემზარავი ყმუილი შორიახლოს მყოფი ბუჩქიდან. გიგა შეკრთა, ერთი წუთით თვალწინ წარმოუდგა მთელი საშიშროება.

— ბომ...ბომ.. ყმუუუ... ასტყდა გახშირებული ყმუილი შიმშილისაგან სასომიხილი მგლებისა, ცხენი შეკრთა, ყურები დაცქვიტა და მუხლები აუძაგძაგდა. გიგა გამოერკვა, გასწორდა და წარბები მრისხანედ შეკრა.

— ჰეიი! — შეჰკვილა მან გმირულად და ცხენს დეზი ამოჰკრა.

— ყმუუუუ... — უფრო გახშირდა მგლების ყმუილი და დაცემულ ველზე ცეცხლივით ანთებული თვალები გამოჩნდა. იმავე წუთს მხედრისაკენ უამრავი შავი ისარი გამოქანდა.

— აჩუ! — შეჰყვირა კვლავ გიგამ და ხურჯინიდან ორი მაშხალა ერთად ამოაძრო. მან ასანთი გაჰკრა. კისერგაშეშებული ნადირი თავდასასხმელად მოემზადა. იმავე დროს ცეცხლის წითელი ალი ჰაერში ავარდა და ახლომახლო თოვლიან მიდამოზე დაიღვარა. ირვლივ შემოხვეული ნადირები უკან მიაწყდნ. ისინი შიშისაგან სქელ თოვლში ჩაცუცქდნ.

— აჩუ, ქურან, აჩუ! — შეჰყვირა პატარა მხედარმა აღტაცებით. მის უშიშარ გულს ყოველივე ეს თამაშობად მიაჩნდა. გმირული ხმით გამხნეებული ცხენი ღომა თოვლში ყალბზე შესდგა და წინ კამარით გადახტა.

— ყმუუუ... შეჰყმუეღეს გონს მოსულმა ნადირებმა და, წუთით გაფანტულნი, ჯგუფად დაედევნენ გაგიჟებულ მხედარს.

— აჩუ, აჩუ! — მიჰქრის პატარა მხედარი და გავარვარებულ მაშხალას ჰაერში ატრიალებს. მაშხალის ალი უკან იზნიქება და ფრიალებს.

— ყმუუუ... — ათასში ერთხელ შეჰყმუეღებენ მსუნავი ნადირები.

თავდავიწყებით მირბის ნადირთა ხროვისაგან ელდანაცემი ცხენი და თოვლის ნაფლეთებს ისე ისვრის ჰაერში, როგორც გაპნტილ ბუმბულს. მყუდრო ველებს განგაში დასცა მგლების ყმუილმა.

მათ საპასუხოდ განუწყვეტლივ ისმის გმირი ბიჭის ძახილი.

— ჰეი, ჰეიი!.. — და ჰაერში მოტრიალე მახალით მგრგე ნავი მხედარი — რალაც ზღაპრულს აღქაჯს მიაგავს, რომელსაც უკან მტერი მისდევს. რამდენიმე ხანს ასე ირბინეს სისხლმოწყურებელმა ნადირებმა და ხიფათში ჩაფარდნილმა მხედარმა. ერთ ბაზად წინ, მოშორებით, ჯარისკაცებივით დამწყვიტებული უფოთლო ხეხილები გამოჩნდა. ამ ხეხილების შუა ოთკუთხედი მოზრდილი სახლი იდგა. მის შუაგულიდან ლამფის შუქი ციმციმებდა. უშიშარი ბიჭი უფრო გამხნევდა. მან იცნო რკინის გზის დარაჯის სახლი და ცხენს გასამხნევებლად კვლავ ხმამაღლა შესძახა:

— აჰუ, ქურან, აჰუ! სამშვიდობოში გაველით! გაქვნიებული მხედარი დარაჯის სახლს დაუახლოვდა. გიგას სიხარულით აუტოკდა გული. მან ყური მოჰკრა ორთქმლავლის ფშვ ნვას. აგეო ნათელ ლამფეში გააჩნია კიდევ თეთრი კვამლი და ორთქლმავალი. დარაჯის ეზოში რამდენიმე კაცი ირეოდა. ყველა მათგანი გაცხელებული უყურებდა ველზე მოლივლივე ცეცხლს, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა მათ.

— ეს რა! ნიშნავს? — სთქვეს რკინის გზის მუშებმა.

— ამ წუთში გავიგებთ! — მოუთმენლობით წარმოსთქვა დარაჯმა. გიგა დარაჯის ეზოსთან მოვარდა. გაცხელებული ცხენი ეკლიან ღობეს მიაწყდა და შედგა. პატარა გმირმა მამხალა თოვლში გადააგდო და მუშებთან მივიდა.

— გამარჯობათ!.. — შესძახა მან თამამად.

— გაგიმარჯოს. ვინა ხარ, პატარა ბიჭო? — იკითხეს მათ გაავიწვებულეებმა. გიგამ დაწვრილებით უამბო, რისთვის მიდის ქალაქში და რა გადახდა გზაში.

— აი ყოჩაღ! — შესძახეს ერთხმად მუშებმა.

— ეხლა ნულარ გემინია! ათ წუთში ქალაქში ჩიციყვანთ. ჩვენ ამათ პური და წყალი მოვაწოდებთ და ახლა უკან ვბრუნდებით!..

— გმადლობთ! — გადაუხადა მადლობა გიგამ და დარაჯს მიუბრუნდა: — ძია, შენი ჭირიმე, ამალა ცხენი შენ შემინახე, დილაზე ადრე წავიყვან.

— კარგი, შევილო!. შენისთანა ყოჩაღი ბიჭისთვის არაფერს არ დავიშურებ!.. — უპასუხა აღტაცებულმა დარაჯმა და გაცხელებული ცხენი თაველაში შეიყვანა.

ათ წუთში გიგა ქალაქში იყო. ორი საათის შემდეგ წამალიც დაუმხადეს. იგი მოუთმენლად ელოდა გათენებას.

მზის ღილით გათენებისას ქალაქიდან პატარა ბიჭი გავიდა და მუხლამდე თოვლში მიაბოტებდა. იგი ძალიან ჩქარობდა. თავის წინ ყმაწვილმა მგზავრი დაინახა. მან ფეხი ააშურა, რომ დასწოდა მას. მგზავრი მოტრიალდა და გაცხელებული დააშტერდა პატარა ბიჭს. იგი გიგას მამა აღმოჩნდა.

— შევილო, გიგა! აქ რა გინდა, ბიჭო?

— ოჰ, მამა, შენა ხარ!? — შესძახა სიხარულით ბავშვი.

— მე ვარ, შევილო! შინ მოვდიოდი. რა გინდა აქ?

გიგამ ყველაფერი უამბო. მამა დალონდა და სქელი, კოჭრებიანი ხელი შუბლზე გადისვა. რამ გახადა ის გოგო ავად!? თითო ჭირი არ მაკლდება! სთქვა ნაღვლიანად ჯაფისაგან გატეხილმა კაცმა.

ისინი გაუდგენ გზას და რამდენიმე საათს შემდეგ ავადმყოფს წამალიც მიაღებინეს.

ერთ თვეზე თამრიკო ისევ კარში დარბოდა. მთელი სოფელი გიგას სიყოჩაღს და თავგანწირვას ჰკვირობდა. სადაც-კი ჩაივლიდა ის, ყველანი გულწრფელად ამბობდენ:

— აი მამაცი ბიჭი!..

ს. მთვარაძე.



პიონერები დღლით ქუჩაში დემონსტრაციის დროს



# გორივი შეხვეული

ეხარობ მზესაფით, თვალეზგაშლილი,  
ცეცხლად ანთებულ გულებს ვუცინო,  
ერთი შემცველი ახკომკავშირის,  
პირმშო შვილი ვარ რევოლუციის.

იმ დიდ ბრძოლებში მომიკლეს მამა,  
გარდამეცვალა დედილოც ადრე,  
შავ მწუხარებამ დამწვა, დამნამა,  
გავხდი ობოლი ბავშობიდანვე...

ჩემს თავზე რამ არ გადაიარა,  
და ჩემდა ბედად უკანასკნელი  
მოვიდა ხარბად ვილაც გულლოა,  
კომკავშირულად ჩამჭიდა ხელი.

გასაბჭოების პირველ დღიდანვე  
ბავში ობოლი და შვილი ქუჩის,  
საბავშო ბაღში გადმომასახლეს,  
და ასე შეესა ბეჭს გადაფურჩი.

ახლა რჩეული პიონერი ვარ,  
ლენინელებთან ვიბრძვი, ვიშლები,  
წინ უკეთესი მომავალი მაქვს,  
უნდა ა. ლ. კ. კ-ას ჩავდგე რიგებში.

ტ. დარიაშვილი.



პიონერები თამაშობენ დამკას.

# შემოდგომა სოფლად

გაქცეულ ყაჩაღებივით  
ტყეს შეჰფენიან ნისლები...  
ქარი ჰქრის, დაძრწის გიჟივით,  
თვალეებით დანასისხლები.

ცას ეკვრის, როგორც გველები  
ლევა ღრუბელთა ქულები  
ჭადრაკსა ჰგვანან ველები  
ალაგ-ალაგი ხნულებით.

ღელეში ყირად სცივიანი  
თავპირის მტვრევით რუები  
მინდვრად ბიჭები ჰკივიან,  
ისმის ხმა დამაყრუები.

ტაროქუჩქუჩა სიმინდი  
ნამგალით წვება კონებად;  
გლუხს ველარ ჰბურავს დღეს ბინდი,  
მდერის მტერთი დასალონებად.

რთველია. გაზებს მტევნებს  
ჭუძუბივით ჰკიდა.  
ერთმანეთს ანადვენები  
ქალები კრეფად მიდიან.  
საწნახელს უბე ევსება.  
ტკბილი სჩქევს ქვევრში ღარებით.

კაკალი სეტყვად ეშვება,  
დანაბერტყები სარებით.  
მსუყუა ეხლა დღეები,—  
ყველას გულუხვად ხვდებიან.  
მაღალი ალვის ხეები  
ორღობეს ჩრდილად წვევიან.  
შარავხას, ახმურებით,  
ურმის ქრიალი ატყვია...  
თვალი ვერ ძღება ყურებით,  
ზედ რომ დოვლათი აწყვია.

სეზმან ერთაწმინდელი

# იოჰან და ბენბა



## მთხრობა

### I

— სადაა აქამდე იოჰანი? — სწუხდა შვილზე კლარა და მისუსტებულ თვალებს შენათებდა პატარა გოგონა ბერტას, რომელიც სასთუმალთან უჯდა და ჩაის ასმევდა.

შუალამე აიტუზა ნესტიანი ოთახის ფანჯარასთან...

რაც ის ოჯახის უფროსი, გემთ საშენი ქარხნის მუშა, ოტტო ბეკერი დაიღუპა ამ ორი წლის წინ აჯანყებაში, კლარა იყო ამ ოთახის ფარვანა, ის სამრეცხველოში დადგა, რომ ორი ბავში გაეზარდა, მაგრამ ვაცვიდა მუშაობის დროს და ლოგინად ჩავარდა, ავადმყოფობას თავი ვეღარ გაართვა; ისედაც დაობლებულ ოჯახში მწუხარება ჩამოვარდა.

— დედა, მე წავალ და მოვძებნი იოჰანს — უთხრა ბერტამ და ადგა.

— არა, შვილო, აბა სად უნდაიპოვო ამ შუალამისას? მოვა, ალბათ... — მიუგო კლარამ და ლონემილეული ხელი ჩასჭიდა მაჯაზე.

— მე ვიცი, საცა წავიდა... დილას ორჯერ იყო გემთ საღმშენებლოში კრაუზესთან და რადგანაც იქ ვერ ენახა, გადასწყვიტა ამ საღამოს პირდაპირ სახლში მისვლა.

— როგორ? უჩემოდ?! რათა? — აღმოხდა კლარას და გაკვირვებული თვალები მიანათა ბერტას.

— ისე, დედავ. მე და იოჰანმა ასე გადაწყვიტეთ... მამა აღარაა, შენ ავად ხარ... მოვლა გინდა, წამალი... პური გვინდა... ოთახის ქირა, — უთხრა გონამ და გადაეხვია დედას.

— შვილებო, შვილებო...

— იოჰანმა მითხრა, შენ დედიკოს მოუარე და მე კი ვიმუშავებო; ჯამაგირს მომცემენ და, როცა ცოტაოდენს შევაკროვებ, მერე ისევ განვაგრძობ სკოლაში სიარული, საიდანაც ფულის შეუტანლობის გამო დაგვითხოვეს... მე ეხლა მეცამეტე წელში

— მერე და იმ ჯალათთან?! განა ის არ იყო მიზეზი, რამაც მიიყვანა მუშები აჯანყებამდე, სადაც მამათქვენიც დაეცა?! — მოსთქვამდა კლარა.

— არ ვიცი, დედა, მაგრამ ეხლა ის, თურმე, პატარა ბავშვებსაც იყვანს სამუშაოზე.

### II

შემოდგომის ნისლი ტყვიასავით დასწოლოდა პამბურგის ცას.

ნავსადგურის მხრით გაბოროტებული სცემდა ქალაქს ჩრდილო ზღვით მონაბერი ქარი და ანელებდა ცით წვიმის ცრას...

— ჰმ... ალბათ, ისევ მუშების გამოსვლა მზადდება... — ჩაილაპარაკა თავისთვის შუაქუჩაზე სვეტით აყუდებულმა პოლიციელმა და თვალი გააყოლა ელვის სისწრაფით მჭროლავ ავტომობილებს, რომლითაც მიდიოდენ რესპუბლიკის ქუჩებში გახვეული ჰინდენბურგის ფოლადის მუზარადელები.

— ამბობენ, ხვალ წითელფრონტელები აპირებენ გამოსვლას და იმათ საწინააღმდეგოდ ემზადებიან ესენიო...


— ჰო, მეც, გავიგე... მუშებთან ერთად... ხვალ ხომ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავია და აქაური კომპარტია აწყობს, თურმე, საბჭოთა კავშირის ძმების სათანაგონობოდ...

მისაუბრობდა შინისკენ მიმავალი ორი მოქალაქე, რომელთა სახესაც შიში დასწოლოდა.

— მუშების უმრავლესობამ ხომ ზურგი აქცია სოციალ-დემოკრატიას და კომუნისტურ პარტიას ემხრობა...

— მაშ რას იზამენ, რომ ისინი სოციალიზმს ეფარებიან და ბურჟუაზიას კი ეხმარებიან თავისი ორჭოფული პოლიტიკით!

იყო საუბარი ზღვის პირად ლუდხანაშიც.  
— აბა მაშ რა გეგონათ? ჩვენ ვინც ნამდვი-



ში განმარტოებით მჯდა-მა დოკერმა, გემთ მტვირ-  
თაჲმა გოტლიბ ბაუერმა და ჩიბუხს მოუკიდა.

— ჰა, დაგავიწყდა შარშანწინდელი ცემა, ნეკ-  
ნები რომ ჩავიღვწეს? ხომ არ მოგენატრა კიდევ?! —  
გაეხუმრა მოხუცი მებაღური, რომელიც მოუჯდა მას  
და თან მოიტანა შავი ლუდით სავსე დიდი ქიქა.

ამ სიტყვებზე გოტლიბს გაახსენდა ჰამბურგის  
აჯანყება, ბრძოლა ქუჩებში, მრავალი ამხანაგის და-  
ცემა ტყვიით. მაგრამ გონების თვალისა და არა შო-  
რდებოდა განგმი-ული ამხანაგი, ოტო ბეკერი, რო-  
მელსაც თავისი ბიჭი იოჰანი თან ახლდა და სიკვდი-  
ლის წინ არიგებდა;

— შეილო, იოჰან, არ დაგავიწყდეს ამ ჯალა-  
თებზე შურისძიება.

— ვფიცავ, მამა! — იყო ბავშვის პასუხი.

— ჩვენ მაინც არ შევწყვეტთ ბრძოლას, ჩვენ  
ხვალ კიდევ გადავთვალთ იერებთ ჩვენი ლურჯხალა-  
თიანების უძლეველ ლაშქარს!.. — უპასუხა გოტლიბ-  
მა მებაღურს ისევე, როგორც მაშინ წარმოსთქვა,  
როცა ოტო არიგებდა იოჰანს.

ამ დროს გაისმა პატარა ბიჭის ხმა, რომელიც  
შეშინებული შემოვარდა ქუჩიდან და გაექანა დოკე-  
რისკენ ხევწინით:

— ძია, გოტლიბ, მიშველე, დამშალე!..

— რა იყო, იოჰან?

III

შავ ღამეში აღმართულიყო ჰამბურგის პირ-  
ქუში გამოხედვა.

კრაუზეს სახლის შესავალთან დიდხანს იდგა  
სიცივით გაცრეცილი ბიჭი და ვერ ბედავდა კარზე  
ელექტრო-ზარის ხელის ხლებას.

მოაგონდა ავადმყოფი დედა, პატარა დაიკო  
და დარეკა ზარი.

გული აუთრთოლდა...

— ვინა ხარ? — რა კარი გაიღო, მოესმა ბიჭს  
მეკარის შეკითხვა.

— მე... მე მინდოდა ბატონი კრაუზე მენახა. —  
მიუგო მორიდებით.

— გასწი, დაიკარგე აქედან! ის ამ დროს არა-  
ვის არ იღებს!.. — უყვირა მან.

— ძია, საქმე მაქვს ბატონ კრაუზესთან! —  
ძლივს წაილულულა მან.

— საქმე, თორემ, მე ვიცი, რადა, შენც რომე-  
ლიმე პარტიისაგან იქნები დებუტატად გამოგზავნი-  
ლი მასთან მოსალოცად, რადგანაც ბურგომისტრად  
ირჩევენ ეხლა, არა?! — დასცინა მეკარემ ბავშს და  
იამაყა იმის უქმით, რომ თავისი ბატონის კრაუზეს  
ასე საპატიო კანდიდატურა გაამჟღავნა.

— შე ობოლი ვარ, ძია!

— ადგ მეთქი!.. მაგრამ აგერ ბატონი კრა-  
უზეც...

ამ სიტყვებთან ერთად ავტოც გაჩერდა სახლის  
წინ, საიდანაც კრაუზე გამოვიდა.

მას თან ახლდა ქარხნის დირექტორი, ავგუსტ  
შულცი.

IV

— ბატონო კრაუზე, მე თქვენთან ვარ, შეიძ-  
ლება? — უთხრა ბიჭუნამ შიშით და მოწიწებით ქუ-  
დი მოუხადა.

— მერე და ვინ მოგიპატიჟა, შე თხუნელავ? —  
გადმოუტრიალა თვალები კრაუზემ.

— კარგა ხანია გეღისთ. — დაატანა მეკარემ.

— ნუ აწუხებ ბატონ კრაუზეს! — ჩაერია დი-  
რექტორი და ბიჭს ხელი ჰკრა.

— შემინდოდა სამუშაოზე მიგეღეთ — მოესმათ ბი-  
ჭის თქმა, რა უკვე კიბზე აღიოდენ.

— ჰა? რაო?! — გაიკვირა კრაუზემ და შულცს  
გადახედა.

— სამუშაოზე მიღებას თხოულობს... — მიუგო  
შულცმა დაცინვით.

— ვინა? ეგ თხუნელა? ხა! ხა! ხა!.. მაგრამ ჩვე-  
ნი პროექტი, ბატონო შულც?

— ხვალ მოვიდეს კანტორაში და მე მოველაპა-  
რაკები... — დააიმედა დირექტორმა.

— მე დღეს ორჯერ ვიყავი და ვერა გნახეთ  
იქ... — ძლივს გაუბედა ბიჭმა.

— კარგი... კარგი, მაშ ხვალ მოვიდეს, არა, ბა-  
ტონო შულც?! მაგრამ არა.. შენ, ეი, თხუნელა,  
მომყე!.. — უთხრა კრაუზემ.

ბიჭი შეჰყვა გაუბედავად...

ამ ბოლო დროს კრაუზეს გადაწყვეტილი ჰქონ-  
და, როგორც შულცმა უჩინა, კარხანაში მამაკაცე-  
ბის ნაცვლად ქალები და ბავშვები მიეღო, რადგან ესე-  
ნი უფრო მორჩილნი იქნებოდნენ, მეტ საათებსაც  
ამუშაებდა და ნაკლებ საფასურსაც მისცემდა.

გარდა ამისა, ეს იქნებოდა მუქარა მუშების წი-  
ნააღმდეგ.

V

— რა გქვიათ? — შეეკითხა კრაუზე, როცა სა-  
ვარძელში ჩაჯდა.

— იოჰან. — მიუგო ბიჭმა.

— ვისი ხარ?

— მამაჩემი თქვენთან მუშაობდა, ხარატი იყო,  
ოტო ბეკერი.

— ოტო ბეკერი?! ეს ვინ იყო? — შეეკითხა  
შულცს.

— აჯანყების ერთი მეთაურთაგანი... ბარკა-  
დაზე დაეცა მაშინ... — მიუგო შულცმა ნელის ხმით.

ქართული  
საბჭოთაო

— შერე და როგორ გაბედე აქ შემოსვლა?! გა-  
ერთიე ჭკედან! — უყვირა ბავშს კრაუზემ, მაგრამ  
შულცმა დაამშვიდა და გადაულაპარაკა:

— ბატონო კრაუზე... ავიყვანოთ... ეს ბიჭი  
სხვა რამეშიც გამოგვადგება... ეს თავის მამის ბევრ  
ამხანაგს იცნობს და... ხომ იცით, საშიში ხალხია  
ისინი... რევოლუციონერები... კომუნისტები...

— კარგია, კარგია, ბატონო შულც... რო-  
გორც თქვენ იტყვიით... ო, რა მოხერხებული კაცი  
ხართ, ეშმაკმა წაგიღოსთ... — უთხრა კრაუზემ სიცი-  
ლით, მხარზე ხელი დაჭკრა და მსახურის მიერ შე-  
მოტანილი შამპანიურის ჭიქა აიღო, მიუჯახუნა...


— ჩემი იმედი იქონიეთ, ბატონო კრაუზე... ეს  
თქვენი სადღეგრძელო იყოს...

ლოსანი იყო და, ვინძლო, მას არ ჩამოუვარდნა, ის  
წავლო ხელობა... — უთხრა შულცმა და გამომდღე-  
ლი თვალი თვალში გაუყარა.

— დიდი მადლობელი ვარ, ბატონო შულც,  
ვეცდები!.. — მიუგო იოჰანმა სიხარულით.

იოჰანს უხაროდა, რომ უარი არ უთხრეს და  
ასე ტკბილად მოეპყრენ; მისი ბავშური გული ვერა  
გრძნობდა, რას უმზადებენ ეს წურბელები; ეხლა დე-  
დასაც მოარჩენს, დასაც გამოზრდის სკოლაში, ოთა-  
ხის ქირასაც გაისტუმრებს, ცხელი საქმელიც ექნე-  
ბათ, ტანისამოსსაც იყიდის, ჯამაგირს დაუნიშნავენ...  
ყველაფერი ღირია მის გონებაში...

ბოლოს გაახსენდა მამა, რომელიც, რა ქარხნი-  
დან დაბრუნდებოდა ხოლმე, მას და ბერთას მოუ-



მე-88 შრომის სკოლის პიონერი მოწაფეები გეოგრაფიის გაკვეთილზე.

იოჰანს სიმშვილისაგან ნერწყვი მოსდიოდა პირ-  
ში, ისინი რომ შამპანიურს შეექცეოდნენ და ზედ  
შოკოლადს აყოლებდნენ.

— მაშ ასე, თხუნელავ, შენ ხეალ დილაადრი-  
ანვე გამოეცხადები ბატონ შულცს და ის მოგცემს შენ  
შესაფერ რაიმე სამუშაოს... იცოდნენ, რომ უნდა იყო  
მორჩილი და გამგონე... — უთხრა კრაუზემ ისე, რომ  
ზედაც არ შეუხებია და საჩუქრად გადუვლო ერთი  
გულდენი.

— დიდი მადლობელი ვარ, ბატონო კრაუზე,  
ყველაფერს გაუფიქრებ ბატონ დირექტორს. — უთ-  
ხრა იოჰანმა სიხარულით, დასწვდა ფულს და კარის-  
კენ გაჭანდა სიხარულით, მაგრამ შულცმა შეაჩერა.

— იოჰან! მე გატყობ, რომ შენ კაი ბიჭი ხარ  
და, აბა, შენ იცი... მე ისე მოგექცევი, როგორც მა-  
მა... — მე მამაშენს დიდ პატივს ვცემდი... ის კაი ხე-

ტანდა ტკბილეულს; კვირაობით მამასთან და დე-  
დასთან ერთად წავიდოდნენ ხოლმე სასიეროდ; პა-  
ტარა ნავით ცურაობდნენ ხოლმე ზღვაზე... და მშინ  
ხომ სულ ისა ჰქონდა ნატურად, ოოცა გაიზრდებო-  
და, მეზღვაური გამხდარიყო. დაჯდებოდა იმ უდი-  
დეს საოკეანო გე ზე, ნავსადგურში რომ იდგა მტუ-  
რავ ქალაქივით, და მთელ ქვეყანას შემოუვლიდა  
გარს; გაახსენდა აგრეთვე ის, თუ მამა როგორ უამ-  
ბობდა ხოლმე შრომის აუტანელ პირობებზე, ბურ-  
ჟუაზიასთან ბრძოლაზე, რევოლუციაზე, ბარეკადებ-  
ზე, კომუნიზმზე... უამბობდა იმაზედაც, თუ შორე-  
ულ ჩრდილოეთის უდიდეს ქვეყანაში მუშებმა რო-  
გორ მოახდინეს ოქტომბრის რევოლუცია, ჩამოაგ-  
დეს მეფე, ბურჟუაზია და ეხლა თვითონ აშენებენ  
ახალ ქვეყანას, კომუნიზმს, რომ იქ ბავშვები ასე კი  
არ არიან, როგორც აქ, უსწავლედნი, პატარაობი-

დანვე ქარხნებში რომ იტანჯებოან, არამედ იქ ვიდრე არ დავაჯკად ბიან სწავლობენ, სახელმწიფო ზრუნავს მათზე, რომ იქ პიონერები არიან და ყველა ამის მომხდენი და მამა იყო ძია ლენინი, რომ იმათსავით ჩვენც უნდა მოვახდინოთ აქ გადატრიალებაო, და სხვა მრავალი.

იოჰანს თვალეებზე ცრემლი მოადგა, როცა გაახსენდა მამის უკანასკნელი სიტყვები, როცა ბარუკადაზე დაეცა დაჭრილი, ამ ორი წლის წინათ, ჰამბურგის ერთ-ერთ ქუჩაზე: — „შვილო, იოჰან, გახსოვდეს შურისძიება ამ ჯალათებზე და არ დაინდო ყველა ჯაშუში, მოლაღატე, გამკემი... იყავი შეუპოვარი მებრძოლი“...

VI

— მაშ ასე, ჩემო პატარა, ხელიდან შერეულდები მუშაობას, — მხარზე ხელის დადებით უთხრა შულცმა ჯერ ისევ ფიქრში მყოფ იოჰანს.

— კარგი, ბატონო...

— მხოლოდ, იცოდე, თუ გინდა კარგი ჯამაგირიც გქონდეს, ცოტაც გაშუშობ, ერთი პატარა დავალება უნდა შეასრულო ნელმე...

— რა, ბატონო?

— რა და... მაინც და მაინც არაფერი... უბრალო რამეა... აი, მაგალითად, როდესაც მუშები დაიწყებენ ხოლმე რაღაცა გაფიცვებზე, აჯანყებაზე ლაპარაკს, რომელიც მათში მეტს ილაპარაკებს, ან რომელიც ააღელვებს სხვა მუშებს, ან სად იკრიფებიან, რას ლაპარაკობენ, — მოდი და შემატყობინე... — უთხრა შულცმა და თავზე ხელი გადაუსვა.

იოჰანი უსმენდა, მაგრამ იმისი ბავშური გულუბრყვილო გონება მაინც ხედებოდა, რომ ეს ამბის მოტანა რაღაცა ცუდი რამე უნდა ყოფილიყო და აენტო:

— როგორ?! ეს ხომ ჯაშუშობა იქნება?! — წამოიძახა, რა გაახსენდა მამის დარიგება.

— არა... ეს ისე... ხანდახან ხოლმე... ეს ჯაშუშობა კი არა, სამსახურია, როგორც ბატონ კრაუსეს წინაშე, რომელმაც შენ მიგიღო სამუშაოდ, და ღირსეული სამსახური სამშობლო რესპუბლიკისა და შენი მამის სახელის უკვდავსაყოფად... არა, მამაშენი ხომ იმ მოჯანყე ხალხმა აიყოლია და მოჰკლეს უახლო ბრძოლაში?... ნუ გეშინია... ამას ვერაფერს გაიგებს... შენ ისე... ჩუმად შემოდი ხოლმე ჩემთან, ანგარანში და მითხარი... ან დასწერე ხოლმე იმათი სახელები და... — არიგებდა შულცი, მაგრამ იოჰანი არც უგნური იყო, რომ არ მიხვედრილიყო, რას თხოულობდნ მისგან.

— ჯაშუში და გამკემი თქვენს წრეში ეძებთ!... — მიაძახა გაბრაზებულმა იოჰანმა და ამ სიტყვებ-

თან ერთად ფული უკანვე მიახალა თავში და გარდა საჩქაროდ გარეთ.

კიბეზე რომ ჩამორბოდა, უკან დიდხანს ესმოდა კრაუსეს მუქარა, რომელსაც შულცი ამშვილებდა.

— დაიქით ეგ ძაღლის ლეკვი და მომგვარეთ აქ! — ყვიროდა ის.

მსახური გამოუდგა, მაგრამ იოჰანმა მოჰკურცხლა ქუჩაზე...

პოლიციელმა შეამჩნია და გამოუდგა წვილის სტვენით, მაგრამ სირბილით დაღლილმა იოჰანმა შეუხვია სანაპირო ქუჩაზე და იმ ლუდხანაში შევარდა დასამალად, სადაც დოკერები იკრიფებიან ხოლმე და სადაც მისი მამაც დადიოდა, აქ კი დოკერი ძია გოტლიბი შეხვდა, რომელსაც უამბო ყველაფერი.

VII

იოჰანს ჯერ არც კი ჰქონდა დამთავრებული ამბავი, რომ კარებში მდევარი პოლიციელი აიყუდა და თვალიერება დაიწყო.

— რა იქნა ბავში? — იკითხა მან.

— ვინ ბავში? ბავში შენა ხარ!.. აქ ვის ეძახი ბავშს?! — მიუგო მთვრალმა მეზღვაურმა და ბოქსზე დაუდგა.

მეზღვაურები შემოეხვიენ, უსტვინეს...

ამასობაში გოტლიბმა და მეზღვაურმა იოჰანი მაგიდის ქვეშ შესვეს და ჩამოეთარენ, განაგრძეს ლაპარაკი, ვითომც აქ არაფერია...

ამ ორის მეტმა არც არავინ იცოდა იოჰანის აქ ყოფნა: თამაშობაში გართულებმა ვერც კი შეამჩნიეს მისი შემოსვლა.

— ადე, იოჰან, და წამოდი ჩემთან. — მიმართა გოტლიბმა, რა პოლიციელი წავიდა, და ხელი მოჰკიდა ბიქს.

— არა, ძია გოტლიბ, შინ მინდა წავიდე...

— არაფერია, დილას გადახვალ...

— დედა რომ ავადლა? ბერტა რომ არ დაიძინებს ჩემი დალით?..

— ეხლა უკვე გვანაა... თქვენი ოთახი კარგა შორსაა... მე კი აქვე ვდგავარ, რამდენიმე ნაბიჯზე... წამოდი... ჩემ პაულსაც გაეხარდება... ისიც ხომ შენი ტოლია?

— დედა რომ იღარდებს? ბერტაც არ დაიძინებს?... — უარობდა იოჰანი და უნდოდა წასვლა.

— ჰო, მაგრამ იმ საზიზღარმა შულცმა ყველას მისამართი იცის, და ვაი თუ პოლიცია მიაყენოს თქვენსა და დაგიჭიროს? მე ვიცი, შერცხვება ბავშის წვალება!!!

სიჩუმე ჩამოვარდა...

ზღვა ხმაურობდა ქარიშხლით...



მე-88 შრომის სკოლის პიონერები ლაბორატორიაში.

ტალები გაბოროტებით ეხლებოდა ნაპირს და ახლო მიდამოებს აყრუებდა ხმაურით...

წვიმის წვეთები ტყვიასავით ეხლებოდა გახურებულ შუბლს...

### VIII

უშედეგოდ აწყდებოდა კარისკენ თვალები მომაკვდავ კლარას შვილის მოლოდინში...

ბერტა ძილს მოეწყვიტა იქვე, დედის სასთუმალთან, მაგრამ რა კარზე კაკუნი შემოესმა, წამოხტა და გაქანდა ძახილით:

— იოჰან!!!

— ხა! ხა! ხა!.. — მოესმა პასუხად.

მის წინ პოლიციელი იდგა.

— სადაა იოჰან ბეკერი? — იკითხა მან.

— არ ვიცი... ამ საღამოს რომ წავიდა, ჯერ არ დაბრუნებულა. — მიუგო გოგონამ და შიშით უკან დაიწია.

— ჰმ!.. საძაგელი!.. — წარმოსთქვა პოლიციელმა, რა მიათვალეოდა და დარწმუნდა, რომ იქ არ იყო, და გაბრუნდა.

დოკერ გოტლიბის წინათგრძნობა ასრულდა...

ბერტა დაღონდა...

თვალწინ წარმოუდგა საყვარელი ძმის სახე და დედას გადახედა, რომელსაც თვალები უაზროდ დაეკეციტა...

— დედა! იოჰანი არაა! პოლიცია ეძებს მას!.. — შეჰყვირა ბერტამ სლოკინით და გადაეხვია დედას, მაგრამ რა პასუხი ვეღარ მიიღო, თვალებში ჩააშტერდა, ყური დაუგდო; ის აღარ სუნთქავდა.

— დედა!!! — შეჰკიელო გოგონამ, რა დარწმუნდა. რომ დედა გაციებულოყო, და კუთხეში აიტუზა შიშით...

ის ცახცახებდა, არ იცოდა რა ექნა, გარეთავე ვერ გასულოყო, ციოდა, შინ ეშინოდა, და მისდუნებურად მოსწყდა ადგილიდან, გაიქცა და გადაეხვია ტირილით:

— დედა! დედა!..

### IX

— გაუმარჯოს გერმანიის ოქტომბერს! — აზანზარებდა ხმაური, რა მეორე დღე გათენდა, ჰამბურგის ქუჩებს.

მიუხედავად იმისა, რომ დილიდანვე პოლიციას და ფოლადის მუზარადელებს შეეკრათ ყველა მოსახვევი, მუშები მაინც მოიწვედნენ წითელი დროშის ფრიალით.

მათ მოჰყვებოდნენ მუშაქალები, წითელფორთხელები, პიონერები...

მოჰქონდათ პლაკატები... ლოზუნგები...

მუსიკის გრიალში ისმოდა ინტერნაციონალის ჰიმნი...

მაგრამ მშვიდობიან დემონსტრაციას ყოველმხრივ დაესხნენ, ამუშავდა რეზინის ჯოხები, იარაღი, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა; ბევრს შეეღებო თავპირი სისხლით...

გაიმარჯვა მთავრობის თავდასხმამ...

გაისმა კენესა დაჭრილთა და ნაცემთა...



ხალხი ირეოდა, გარბოდა, ერთი ბიჭი ასუ-  
ლიყო გადაბრუნებულ კარეტაზე, აფრიალებდა პატა-  
რა წითელ დროშას და ყვიროდა:

— ბრძოლა ჯალათებს!!!

პიონერები, რომლებიც აქა-იქ მიმალულიყვნენ  
ქუჩების მოსახვევებში, რათა პოლიციელთა რეზინის  
ჯოხების რისხვა აეცდინათ, რა თავისი თანატოლი ნა-  
ხეს ასე გაბედულად მდგარი, შემოეხვიენ გარშე-  
მო და ერთხმად შესძახეს:

— გაუმარჯოს პატარა გმირს!!!

— იოჰან!!! — შეჰყვირა შორიდან ბერტამ, რო-  
მელიც გამოსულიყო ძმის საძებრად, და გაეჭანა  
მისკენ.

— ბერტა!.. — იყო პასუხი კარეტაზე ასული ვა-  
ბელული ბიჭისა და მოხვია ხელი.

დიახ, ეს იყო იოჰანი, რომელმაც დილას სახ-  
ლისკენ ვერ გაიკვლია გზა, რადგან შეკრული იყო,  
და ძია გოტლიბს გამოჰყვა დემონსტრაციაზე, ისიც  
მასთან ერთად მღეროდა რევოლუციონურ სიმღე-  
რას და, რა ნაცემი დოკერი პოლიციამ გაიტაცა  
ავტომობილზე, გამოსტაცა მას ხელიდან დროშა და  
ახტა ზევით...

— როგორ, იოჰან? დაქრილი ხარ? — შეჰკივლა  
ბერტამ, შუბლზე სისხლი რომ შეამჩნია.

— ეს არაფერია, ბერტა. დედიკო როგორაა?!

— დედა? დედა... — ველარ დაათვა ბერტამ,  
გული ამოუჯდა, ატირდა.

— დედა აღარაა?... — ეს-ღა სთქვა იოჰანმა და  
პოლიციამაც სტაცა ხელი.

— ამხანაგებო, არ დავანებოთ! — იყვირა ერთ-  
მა პიონერთაგანმა და შემოეხვიენ იოჰანს, მაგრამ  
პოლიციელებმა რეზინის ჯოხები აამუშავეს...

საიდგანლაც გამოჩნდა ნავსადგურის მუშების  
ჯგუფი და კიჩინა დასცეს პოლიციელებს, ვიდრე  
ისინი იარაღზე წაივლებდნენ ხელს, ჰკრეს ძარღვიანი  
მუშტი და ხელიდან გამოსტაცეს ბიჭი ძახილით:

— დავიხსნათ ოტტო ბეკერის შვილი!..

გამოჩნდნენ ფოლადის მუზარადელები, მაგრამ  
ქუჩაზე არავინ იყო...

შორიდან მოისმოდა წითელფრონტელთა სიმ-  
ღერა...

X

მესამე დღეს დედის კუბოს რომ მისდევდნენ  
იოჰანი და ბერტა რამდენიმე მეზობლისა და ნავ-  
სადგურის მუშის თანხლებით, საიდგანლაც გამოჩნდა  
პიონერების რაზმი და აედევნა პროცესიას, სასაფლა-  
ოსკენ...

— ნუ სწუხხართ, ამხანაგო იოჰან და ბერტა,  
ჩვენმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა თქვენზე მზრუნ-  
ველობა. — უთხრა რაზმის მეთაურმა.

— ამიერიდან ჩვენთან, პიონერთა რიგებში,  
ითვლებით!.. — სთქვა მეორე პიონერმა.

მათ შუაში ჩაიყენეს და-ძმა.

— ვფიცავ, ამხანაგებო, რომ ღირსეული ძმა  
ვიქნები თქვენი! — უთხრა იოჰანმა, რა დედა სამა-  
რეს მიაბარეს და ხელი ჩამოართვა ყველას.

— მეც მხარდამხარ მიგყვები იოჰანს! — დაატა-  
ნა ბერტამ.

— დედა, ღირსეული შვილი, ღირსეულად გა-  
დაფუხდი ჯალათებს! — ეს იყო იოჰანის უკანასკნელი  
სიტყვა დედის საფლავზე.

ეხლა ისინი საუკეთესო პიონერები არიან.

ს. ერთაწმინდელი.

# პიონერებო, გავუებო.

მიიღეთ მონაწილეობა ყურნალის მუშაობაში, მოგვწე-  
რეთ კორესპონდენციები კოლექტივებში, სკოლებში  
თქვენი მუშაობის და მოქმედების შესახებ.

# ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავი ტფილისში.

ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავი ტფილისის პროლეტარიატმა და მშრომელმა მოსახლეობამ ბრწყინვალედ ილღესასწაულა. ამ დღემ ფართოდ მიიზიდა მშრომელთა ფართე მასები, რის გამო დემონსტრაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო.

ტფილისის პროლეტარიატი და მშრომელი მოსახლეობა რამდენიმე დღით ადრე შეუდგა საღმრთაწაულო მზადებას. მზადდებოდა ლოზუნგები, პლაკატები, კარკატურები, მოდელები და სხვა. ყველა დაინტერესებული იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეტერთმეტე წლის თავს არაჩვეულებრივად შეხვედროდა. წარმოებები და დაწესებულებები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

6 ნოემბერს ქალაქი არაჩვეულებრივ მოძრაობაშია. წარმოება-დაწესებულებები მწვანე სამოსშია ეხვეუან.

დაღამდა. ქალაქი ათასფერ ელექტრო-ჩირაღდებით აინთო. ქუჩები შეიღება წითელი ფერებით, რომელიც შემოდგომის გრილ ნიაფზე ელვარებდა, ლელავდა.

სახალხო კომისარიატების, ტფილისის აღმასკომის, კ. პ. (ბ) ცეკას და კომკავშირის ცეკას შენობები და სხვა დაწესებულებები ბრწყვიალა ელნათურებმა შთანთქა. ქალაქის მთავარი ქუჩები აივსო ზღვა ხალხით.

გვიან, ძალიან გვიან ქუჩები დაცალიერდა. ქალაქი ღრმა ძილში ჩაწვა. მხოლოდ აქა-იქ მოისმოდა გუშავ მილიციელთა სტვენა.

7 ნოემბრის დილა არაჩვეულებრივი იყო. ტრამვაის რონოდები არ მოძრაობდნენ. აღარ ისმოდა მეეტლეთა ცხენების თქარა-თქური. სამაგიეროდ ქუჩების ორივე მხარე სავეე იყო მუშებით, ახალგაზრდებით, პიონერე-



ტფილისის პიონერები დემონსტრაციაზე, კომკავშირის 10 წლის თავზე.



ბით. დილის სიცივით ყურებდაწითლებული, პაწიები ბარაბნის ცემით დანიშნული ადგილისაკენ მიდიან. ყველანი დროშებით, პლაკატებით მიიჩქარიან, რომ არ დაიგვიანონ. დემონსტრაცია 10 საათისათვის არის დანიშნული.

ჯერ კიდევ 9 საათი არ იყო, რომ ქორესის და პლენხანოვის პროსპექტის კუთხეში თავი მოიყარა ლენ-რაიონის მუშა - მოსამსახურეთა, პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის კოლონებმა.

დემონსტრაციის დაწყებამდე ჯგუფ-ჯგუფად დაწყობილი ახალგაზრდების, მუშების და პიონერების სიმღერები, მუსიკის გუგუნნი და ცეკვა - თამაშის ხმა არემარეს აყრუებდა. ასეთივე სურათი იყო კარლ-მარქსის მოედანზე და სოლოლაკის ქუჩაზე, სადაც ტავმოყრილი იყვნენ დანარჩენი ორი რაიონის მუშა-მოსამსახურენი.

სასახლის წინ ტრიბუნა დგას. ის ძვირფასი სტუმრების მოლოდინშია. აქედან, ამ ტრიბუნიდან ტფილისის პროლეტარიატს უნდა მიესალმონ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები და მუშების, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

უკვე ათი საათია. ქორესისა და პლენხანოვის პროსპექტის კუთხეში მდგომი ლენ-რაიონის მუშათა კოლონები დაიძრა ელბაქიდის აღმართისაკენ. კოლონების წინ წითელი დროშების ტყეა.

მოწინავე კოლონები ტრიბუნას უახლოვდებიან. აქ არის მიხა ცხაკაია, შალვა ელიავა, ფილიპე მახარაძე, მიხა კახიანი, ლ. სუხიშვილი და სხვ.

დემონსტრაცია ტრიბუნას ორი მხრიდან უვლის. ტრიბუნიდან ხშირად გაისმის კომპარტიის ძველი გვარდიის მჭექარე ხმები:

— გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბერს!  
ქალაქის მთავარ ქუჩებზე მაინც ზღვა ხალხია. ბინებში წასვლა არავის უნდა.

სალამოთი მუშებმა კვლავ კლუბებს, თეატრებს, კინოებს მიაშურეს, იქ უფასოდ აჩვენებდნენ რევოლუციონურ დრამებს, კინო-სურათებს და სხვა.

ი. ლ.

### კომკავშირის ათი წელი.

დადგა 1917 წელი, ოქტომბრის წელი. ბოლშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ. მუშათა ახალგაზრდობა მიჰყვებოდა მათ და ოქტომბრის რევოლუციის დროს მათ მოწინავე მებრძოლ რიგებში იღვა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა გამაგრდა საბჭოთა ძალა-უფლება, დაიწყო მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირების სტიქიური ზრდა, რის შემდეგ აუცილებელი შეიქნა ამ კავშირების ერთიან ორგანიზაციაში შეკავშირება.

ლენინგრადის და მოსკოვის კავშირების მეთაურობით 1918 წლის 29 ოქტომბერს მოხდა პირველი ყრილობა:

ყრილობამ დაადგინა კავშირების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება და მას უწოდა რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი. ამრიგად უკვე ჩაეყარა საფუძველი კომკავშირის არსებობას, რომელსაც შემდეგ ეწოდა პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის ამხ. ლენინის სახელობის (ლენინური) კომკავშირი.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა ძალას წარმოადგენს დღეს კომკავშირი, როგორია მისი მნიშვნელობა ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

პარტიასა და მუშათა კლასს კარგად ახსოვთ კომკავშირის დაუღალავი და თავგანწირული ბრძოლა არა მარტო სამოქალაქო ომების დროს, არამედ მშვიდობიანი აღმშენებლობის დროსაც.

ათი წელი მისი ბრძოლის და მუშაობის სახელოვანი წლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის თავისი დაარსების დღიდან დღემდე მუშათა კლასის ბრძოლის საქმეში.

მუშაობის რა გზებს ისახავდა და რა ამოცანების განხორციელებას შეუდგა კომკავშირი თავისი დაარსების დღიდან?

აშკარაა, რომ კომკავშირი ოქტომბრის რევოლუციის მომენტში და შემდეგ — სამოქალაქო ომის დროს — დიდ მონაწილეობას მიიღებდა რევოლუციის დაცვაში. ეს

ასეც იყო. ჯერ კიდევ 1919 წელს კომკავშირმა ჩაატარა კომკავშირლების მობილიზაცია და ამრიგად შეუერთა თავისი ძალები წითელ ჯარს.

ვინ მოსთვლის ამ დროს კომკავშირის მიერ გაწეულ გმირობას!.. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ კომკავშირის წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა. 1920 წელს შესდგა მესამე ყრილობა, სადაც მომხსენებლად გამოვიდა თვით ამხ. ლენინი, რომელმაც განაცხადა — ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს კომუნისმის შენებაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კომკავშირს პარტიასთან ერთად უნდა დაეწყო მუშაობა ქვეყნის მეურნეობის აღსადგენად.

ამიტომ მესამე, მეოთხე და მეხუთე ყრილობებზე დიდი ყურადღება მიექცა კომუნისტური ახალგაზრდობის სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის საკითხს.

1922 წლიდან კომკავშირი იწყებს მუშაობას ბავშვებს შორის. დგება ნორჩ პიონერთა რგოლები და შემდეგ ოქტომბრელების ჯგუფებიც.

ლენინის სიკვდილს შემდეგ კომკავშირმა პიონერ-ორგანიზაციას ლენინის სახელობის პიონერ-ორგანიზაცია უწოდა.

ეხლა პიონერ-ორგანიზაცია უკვე ძლიერი და დიდა, მის რიგებში ნახევარი მილიონი ბავშია.

კომკავშირის მეექვსე ყრილობამ 1924 წელს დაადგინა კომკავშირის წოდებოდა ლენინის სახელობის კავშირი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის მიჰყვებოდა ლენინის გზას.

მეშვიდე და მერვე ყრილობამ დაადგინა ახალგაზრდობის უფრო ფართო ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში და კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლაში. დღეს კომკავშირი დიდ მონაწილეობას იღებს ჩვენი კავშირის ყოველგვარ მუშაობაში.

ასეთია კომკავშირის მიერ განვლილი ათი წელი. ნახევარმილიონიანი კომკავშირი და მისი შემცველი პიონერ-ორგანიზაცია მტკიცედ სდგანან საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის სადარაჯოზე და მის დასაცავად ყოველ წუთს მზად არიან.

ალ. ს - ვა.

# აფრიკის ტყაპისა და ველაგში.

## მოგზაურობის დასაწყისი.

გერმანიიდან აფრიკის შუაგულში წავადა ექსპედიცია. ექსპედიციაში მონაწილეობდა მოგზაური შილინგსი.

იგი ხელმძღვანელობდა 30 კაცისგან შემდგარ პატარა ქარავანს. როდესაც შილინგსი თავისი ქარავნით ვიქტორია-ნიასას ტბიდან დაძვრას აპირებდა, იგი ტროპიკულმა ციებამ შეიპყრო. მძიმე ავადმყოფობამ იგი რამდენიმე თვით ჩააწვინა ლოჯინში. ბოლოს, როგორც იქნა, მან განაგრძო გზა, მაგრამ მეტად სუსტად იყო.

მის ამოცანას შეადგენდა დაკვირვებების მოხდენა ტროპიკული ტყისა და ველების ცხოველებზე. იგი ცდილობდა რაც შეიძლებოდა ახლოს მისდგომოდა მათ, დაკვირებოდა მათ ცხოვრებას და გადაეღო მათი ფოტოგრაფიული სურათი ბუნებრივ მდგომარეობაში. მის იარაღს წარმოადგენდა ფოტოგრაფიული აპარატი; მის უდიდეს სახარულს — კარგად გადაღებული სურათი. შილინგს თან ახლდნენ მისი ერთგული და ნაცალი გამყოლები.

აი, როგორ მოგვითხრობს იგი თავის თავგადასავალს.

## პითონის ნადირობა.

ჩვენ ტროპიკულ ტყეში შევედით.

— ფრთხილად იყავით! — გვითხრა ერთმა ჩვენმა გამყოლთაგანმა, — აქ ყოველ წუთს შესაძლებელია მოულოდნელად თავს დაგვეჩხან მხეცები. მზად უნდა ვიყოთ.

გულისთანაცქალით დავიწყეთ უღრან ტყეში შესვლა. ტყეში ისეთი სიბნელე იყო, როგორც სარდაფში, სადაც მზის ერთი სხივიც ვერ აღწევს. დროგამოშვებით ხეების სიხშირე კლებულობდა და ჩვენ ვხედავდით ხის ლურჯ ნაჭერს. ტყეში სინესტე იყო, მიწას ორთქლი ადიოდა.

უეცრად მახლობელიხიდან ყვირილი და ლაწალაწი მოისმა. მიწაზე ჩამოცვივდა ხმელი შტოები და ნაყოფი. თუთიყუშები კივილით და ხმაურობით აფრინდნენ ჰაერში. ხის მწვერვალისა და ჩამოხტენ პატარა მაიმუნები და გაქცევით უშველეს თავს. ხის ახლოს, ტოტებს შორის, გამოჩნდა საკმაოდ დიდი მხეცი. იგი მუქი ფერისა იყო, ზოლებითა და ლაქებით აჭრელებული. შემდეგ ყველაფერი მიუყრდა.

— ვივერა, — წაიჩურჩულა გამყოლმა, რომელიც გულმოდგინედ იმზირებოდა ხშირი და ჩაშავებული ფოთლებისაკენ.

— სსს!.. გესმით... თითქოს ბავშვის ტირილია.

ჩვენ ჩავიმაღეთ ჩირგვებში. ერთი წუთით ისეთი მყუდროება დადგა, რომ თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გულის ცემა ესმოდა.

უეცრად გამყოლი, თითქოს კატად გადაქცეულაო, ფრთხილის ნაბიჯით მოსცილდა ხეს. დანარჩენებმა მას მიბაძეს.

— პითონი!.. — წაიჩურჩულა მან და თითო გაიშვირა პატარა ადგილისაკენ ხეებს შორის, — აი, იქ!..

ჩვენ გავიხედეთ იმ მიმართულებით, საითაც გამყოლმა გვიჩვენა. მაღალ ბალახში მიიზღაწვნებოდა ვეებერთელა მსხვილი გველი. მისი წაბლისფერი, ყვითელლაქებიანი ტანი მზეზე ბრწყინავდა. იგი ჩუმად მიუახლოვდა ხეს, რომელზედაც იჯდა კატა, და კულზე დაბჯენილმა დაიწყო ხეზე შემოხვევა. კატის ფრუტუნის და ბუზღუნის ამტკიცებდა, რომ იგი ხედავდა მტერს, მაგრამ სხვა ხეზე გადახტომის თავი არ ჰქონდა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც დროგამოშვებით არღვევდა მხოლოდ დამფრთხალი მაიმუნების ყვირილი, ან ბალახებში ფრინველთა ბუდეების ჩამოვარდნა.

უეცრად მოისმა გულშემზარავი კივილი, ლაწალაწი, ხმაურობა. ხე აძაგაგდა პითონის ძალოვანი მოძრაობისაგან. მან შეიპყრო მსხვერპლი, რომელიც მთლად დაუღუქავად გადაყლაპა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მუცელგაბერილი გველი მიწაზე გაწვა. იგი უცბად მოდუნდა და უძრავი შეიქნა.

## პატიმარი.

ეხლა კი ჩვენ უშიშრად შეგვეძლო მივახლოვებოდით უზარმაზარ გველს და კარგად დაგვეთვალიერებინა იგი.

— რა საზარელია! — წამოიძახა ჩემმა თანაშემწემ. — თქვენ რაც გინდოდეთ სთქვით, მაგრამ ამ გველის შეხედვა ჩემში ზიზღს იწვევს. ჩემი წინადადება — გზა განვაგრძოთ.

მე მაშინვე დავეთანხმე მას და ჩვენ ხელახლა შევეუდექით ფრთხილი ნაბიჯით სიარულს დაბურულ ტყეში.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ მოვასწარი, რომ უზარმაზარი ხე გადაგველობა გზაზე.

— ეს გოლიათი — ბაობაბია, — წამოიძახა ჩემმა თანაშემწემ. — შეხედეთ, ჩვენ ვერც კი შევძლებთ მის ვარშემო ხელების შემოწვდომას.

— მართალია, — ვთქვი მე, — ამისათვის, მგონი, თხუთმეტი კაციც კი დაგვკირდება.

ჩვენ ცნობისმოყვარეობით შევეუდექით გოლიათის დათვალიერებას. მისი ტოტები სიგრძით 10 მეტრს აღწევდნენ. ტოტები დაფარული იყო პარკი ლობიოს მსგავსი ნაყოფით და თეთრი ლამაზი ყვა-

ვილებით. ჩვენ მოვწყვეტეთ ერთი პარკი.

— რა გემრიელია, — ვთქვი მე.

და მართლაც, პარკის ხორციანი გარეკანი საკმაოდ გემრიელი იყო. სანამ ჩვენ ახალი შეჭამადით პირს ვიტკბარუნებდით, თავზე გადაგვიფრინეს უამრავმა თუთიყუშებმა და სხვა ფრინველებმა. მათ ჰქონდათ ღია ფერის ბუმბული და გულშემზარავად ყვიროდნენ. მათი ყვირილი ვირის ყროყინს მოგვაგონებდა. ამ გულშემზარავი ყვირილით ფრინველები თავის მტრებს აფრთხობდნენ.

დიდს, ტოტებგადაშლილ ხეზე ჩვენ თვალი მოვკარით წიწაკიყლაპის<sup>1)</sup> თავს. იგი იტკირებოდა პატარა, მუშტისოდენა ნახვრეტიდან. მეორე ფრინვე-

განმავლობაში ეძებს და აგროვებს მისთვის წიწაკის თესლს. ასეთი გადაჭარბებული შრომისაგან იგი იმდენად ილღება ხოლმე, რომ მოძრაობა უჭირს. ბარტყების გამოჩეკისთანავე დედალი თავისუფლდება ტყვეობიდან.

ჩვენ გულით გვინდოდა ერთი წიწაკიყლაპის წაგვეყვანა ჩვენს ბანაკში, მაგრამ თავი დავანებეთ: ეს ფრინველი ვერ იტანს ტყვეობას და კვდება.

**ლამისთევა ფულუროში.**

ჩვენ კიდევ დიდხანს მივდიოდით ტყეში. ჩვენ გვიხდებოდა ხან ნაკადულის გადალახვა, ხან ამაღლებულ ადგილებზე ასვლა, მივდიოდით წარმოუდგენლად ხშირ და უტეხ ტყეში.



გველი მუტელგაბეროლი იწვა მიწაზე

ლი ბუდის გვერდით იჯდა. ეტყობოდა, რგი უდარაჯებდა თავის მეუღლეს.

— საოცარია, — წამოიძახა ერთმა გამყოლმა, — როგორ შეძერა ეს ფრინველი ბუდეში: ნახვრეტი ისეთი პატარაა, რომ წიწაკიყლაპის ძლივ-ძლივობით შეუძლია იმაში თავის გამოყოფა.

— იგი ჩაგლისა მისმა მეუღლე მამალმა, — უბასუხა ჩემმა თანამემშემ. როგორც ბუდეს დააშადებენ და დედალი შუგ უკანასკნელ კვერცხს დადებს, მამალი ყელამდე დაგოესს მას. დედალს ძალაუნებურად უხდება ბუდეში ჯდომა, სანამ კვერცხებიდან ბარტყები არ გამოიჩეკებინ. მამალი ამასობაში ზრუნავს თავისი მეუღლის საკვებზე. იგი მთელი დღის

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც, როგორც იქნა; ტყე შეთხელდა, გამოჩნდა ცალიერი ადგილი და სოფელს შევხედეთ. ოცი ჩემი შავკანიანი მზიდავი დააპურეს და გააძღეს ამ სოფელში, მე და ჩემმა თანამემშემ მივიღეთ ქათამი და ბანანები. ბოლით სავსე ქონში ჩვენ ძალიან მყუდროდ ვგრძნობდით თავს და ხშირად შევექცეოდით შემწვარ სიმინდს და წენიან ბანანებს. ჩვენ მოვასწარით ზანგების ორი მეთაურისა და მათი ხელქვეითების გაცნობა. განსაკუთრებით გაგვაოცა ერთმა ზანგმა, რომელსაც ყურებზე უცნაური სამკაულები ეკიდა.

ჩემი თანამგზავრები საკმაოდ დაიღალნენ, ამიტომ ქარავანი მთელი დღისა და ღამის განმავლობაში

<sup>1)</sup> ფრინველია, ცხოვრობს ცხელ ქვეყნებში.

ბაში დ ვტოვე სოფელში დასასვენებლად, მე კი თანაშემწისა და საიმედო გამყოლის თანხლებით წავედი ტყეში ღამის გასატარებლად,

ჩვენ ხელახლა მოგვიხდა უღრან ტყეში ვაჭრეებით სიარული. წარამარა ვბორძიკობდით ხის ფესვებზე. სიარული თანდ თან გაძნელდა. საჭირო იყო ღამის გაათვე ბინაზე გვეზრუნა.

უეცრად წინ მიმავალმა ჩვენმა გამყოლმა იყვირა: — ჩქარა, ჩქარა აქეთ მოდი!

ჩვენ დაუყოვნებლივ მივცვივდით მასთან. გამყოლი ვეებერთელა ბაობაბის წინ იდგა.

— აქ ფულუროა, — გვითხრა მან, — და ჩვენ გულდამშვიდებით შეგვიძლია შიგ გავაჩიოთ ღამე.

— საუცხოვოა! — მხიარულად წამოიძახა ჩემმა თანაშემწემ, — აქ არაერთარი საფრთხე არ მოგველის მტაცებელი მხეცებისაგან. საკვირველია, რა იღბალი დაგვემართა!

— იქნება ეს ქობი უკვე დაკავებული აქვს ვისმის? ვთქვი მე.

და ამ სიტყვებთან ერთად ფულუროში ქვა ჩავადე. მაგრამ ფულუროდან არაფერი გამოჩენილა. მაშინ მე ავანთე სანთელი და დაპალ ხეს შიგნით თვალიერება დავუწყე. ჩვენ სამს თავისუფლად შეგვეძლო შიგ მოთავსება.

ფრთხილად, ერთიერთმანეთის შემდეგ, ჩავძვერით ახალ საფოკში.

ამასობაში დაღამდა კიდევ. საღუმლო სიბნელე, რომელიც უზარმაზარი ხეების ქვეშ სუფევდა, ჩვენში დიდი ხნის დავიწყებულ ჩვენებს აღვიძებდა. შავ უკუნეთში აქა-იქ აენთენ ვარდისფერი ენები, რომლებიც დიდი კელაპტრების აღს მოგვაგონებდნენ. ეს იყო ჩირგვებზე ამოსული ალისფერი ყვავილების შუქი. გახსნილი ფურცლებიდან შავ მიწაზე გადმოიღვარა ოქროსფერი წინწყლების ზოლი. გაცილებულებს, ჩვენ არ შეგვეძლო თვალი მოგვეცილებია ამ ზღაპრული სილამაზისათვის.

დრო ნელა გადიოდა, საათი საათს მისდევდა. უღრან ტყეში დაიწყო ღამის ცხოვრება, ათასი ხმით შეზავებული. ეს ხმები ისმოდა ხავსიდან, მაღალი ბალახიდან და ზორბა ხეების მწვერვალებიდან. დროგამოშვებით იქიდან ცვივოდა მწიფე ნაყოფი, ან ლაწა-ლუწით ტყდებოდნენ შტოები, რომლებიც ვერ უძლებდნენ მაიმუნების სიმძიმეს. ყვირილზე და ყუფაზე შეიძლებოდა გამოცნობა, რომელი მხრიდან გვიახლოვდებოდნენ ღამის მტაცებელი ცხოველები. მაგრამ უეცრად მიწამ ხანზარი დაიწყო, მოისმა ტოტების მტვრევა და შორს გამოჩნდნენ გოლიათი ცხოველები. ისინი უახლოვდებოდნენ ჩვენ თავშესაფარს. გამყოლმა მოიმარჯვა თოფი, მე კი ფოტოგრაფიული აპარატი მოვამზადე.

ძალიან ახლო მანძილიდან მოისმა ხმამაღალი ღმუილი და ფრუტუნნი. ეტყობოდა, რომ სპილოები გვიახლოვდებოდნენ; მათი შემოსევა არ იყო სა-

შიშარი. აი, ფულუროს შესავალთან გამოჩნდა მათი მეთაური და მთელის ძალ-ღონით დაეტაკა ხეს. მხოლოდ ეხლა მოგვეცა საშვალეობა ახლოს დაგვეთვალიერებია ჩვენი მყუდროების დამრღვეველნი: ეს იყო ცხელი ქვეყნების უძლიერესი და უბოროტესი ცხოველების — მარტორქების — ჯოგი. გამძვინვარებული მარტორქები დარბოდნენ ხის გარშემო, წარამარა ეტაკებოდნენ მას თავისი რქებით — ისე ძლიერ, რომ ქერქი და ფოთლები ცვივოდა გარშემო. მაგრამ ბაობაბი ურყევად იდგა, თითქოს რკინისაგან არის ჩამოსხმულიო. მაგნიუმი აპრიალდა, — და მე გადავიღე ფოტოგრაფიული სურათი. ამის შემდეგ გამყოლმა გაისროლა. ცხადია, ტყვია ვერ გააწვედა ცხოველის სქელ კანში, მაგრამ გამყოლს იმედი ჰქონდა, რომ თოფის ხმაზე ჯოგი დაფრთხებოდა. ამ ზომამ იმდენად გადაატარა მოლოდინს, რომ ჩვენ უნებურად სიცილი აგვიტყდა: როგორც კი გავარდა თოფი, ყველაზე ახლოს მდგომი მარტორქა, თითქოს მეხი დაეცაო, დაფრთხებული გაიქრა თავისი ამხანაგებისკენ, და მთელმა ჯოგმა ხმამაღალი ღმუილით მოჰკურცხლა ტყისაკენ.

— ჩვენი იღბალი, — სთქვა გამყოლმა, — რომ მათ გაშლილ ადგილზე არ შევხვდით. შავი დღე კი დაგვადგებოდა მაშინ. დამ-ღ მობით მარტორქები ტყეში დაეხეტებიან დაჯოგად დადიან წყლს დასალევად, დღისით კი იმალებიან უღრან ტყეებში და მხოლოდ მათ მოსსხლე მტერს — ადამიანს — შეუძლია მათი იქიდან გამოდენა. ისინი ცუდად ზედავენ და ცუდად ესმით, სამაგიეროდ ისეთი საუცხოვო ყნოსვა აქვთ, რომ ქარზე, თითქმის ნახევარი კლომეტრის მანძილზე, გრძნობენ ადამიანს მოახლოვებას. მაშინ გამძვინვარებული ცხოველი გამოენთება ხოლმე მონადირეს და ხშირად ვარდება ორმოში, რომელსაც განგებ აკეთებენ მარტორქების დასაქერად.

დილაზე, როდესაც ჩვენი თავშესაფრიდან გამოვედით, შევამჩნიეთ, თუ როგორ გაენადგურებიათ იქაურობა მარტორქებს: ხის გარშემო ეყარა დაღეწილი ტოტები, ბალახი და ბუჩქები მოეთელა და მოესრისა გოლიათების ფეხებს. გზა, რომელიც მათ გაეკვლიათ გაუკაფავ ტყეში, გარკვევით მოჩანდა.

— ეტყობა, — სთქვა გამყოლმა, — აქ საღდაც მდინარე არის, ან ტბა, სადაც ნიანგები არ ცხოვრობენ და სადაც მარტორქები წყლის დასალევად დადიან. გავყვეთ მათ კვალს.

მართლაც, ჩქარა გამოჩნდა პატარა ნაკადული, რომელიც ერთვოდა საკმაოდ მოზრდილ, მაგრამ თხელ ტბას. მისი სწორი ნაპირები მოეფინა ქაობის ფრინველთა ურიცხვ გუნდებს, რომლებიც იქერდნენ ბყაყებს, ლოკოკინებსა და პატარა თევზებს. ტბის შუაგულში წყლიდან შავად მოჩანდნენ ძუ ბეგემოტების და მათი შვილების თართე ზურგები. პატარა ბეგემოტები კუნტრუშობდნენ თხელ წყალში. ლერწმებში დაფარფატობდა უამრავი, ნაირნაირი ფერი, პეპელა...

# სსშრსსშრ სსშრსსშრ

## ინგლისი

ინგლისი ყველაზე უფრო ძლიერი და უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოა. არც ერთი საბჭოთა ვაზეთი არ გამოდის ჩვენში, რომ ინგლისზე რამეს არ სწერდეს.

ზოგიერთმა ჩვენგანმა არც კი იცის ინგლისის ისტორია, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ინგლისის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, ეს კი არ კმარა.

რა არის ინგლისი?

ჩვენ ჩვეულებრივად ვხმარობთ სიტყვა „ინგლისს“, რომელიც სიმართლეს არ შეეფერება. ნამდვილად კი ჩვენ უნდა ვუწოდოთ **დიდი ბრიტანეთი**, ვინაიდან ინგლისი ჰქვიან კუნძულის უდიდეს სამხრეთ ნაწილს. ვაზეთებში კი „ინგლისს“ უწოდებენ „გაერთიანებულ სამეფოს“, რომელშიაც შედის ინგლისი, უელსის სამთავრო, შოტლანდეთი, ჩრდილოეთ ირლანდეთი და რამდენიმე კუნძული.

„გაერთიანებული სამეფო“ არის მთავარი ბირთვი ბრიტანეთის იმპერიისა და მასში შედის, გარდა გაერთიანებული სამეფოსი, აუარებელი ახალშენი და დამოკიდებული სახელმწიფოები (დომინიონები).

### ინგლისის მოსახლეობა და მისი საქმიანობა.

ბრიტანეთის იმპერიას დედამიწის ერთი მეოთხედლი უჭირავს, სადაც 420 მილიონზე მეტი მცხოვრებია. ამ რიცხვიდან მხოლოდ 60 მილიონია ინგლისელი, დანარჩენი კი სხვა ეროვნებანია.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ინგლისში 100 კაციდან 12 თუ მისდევს სოფლის მეურნეობას. იქვე 100 კაციდან 57 მრეწველობაშია ჩაბმული, ხოლო დანარჩენი 31 კაცი კი მისდევს ვაჭრობასა და ტრანსპორტზე მუშაობას.

1870 წლიდან დაწყებული, ამერიკის საუკეთესო ნაყოფიერ მიწებში მოსული პური ინგლისის სასოფლო მეურნეობას დიდ კონკურენციას უწევდა. ამის შემდეგ ინგლისათვის უფრო ხელსაყრელი შეიქმნა მრეწველობაზე გადასვლა, ხოლო სასურსათო საარსებო პროდუქტების შემოზიდვა ამერიკიდან დაიწყო.

ინგლისში სახნავი მიწების რაოდენობა წლით-წლით იკლებს. 1924 წლის ცნობებით, ინგლისს პური მხოლოდ მოსახლეობის ერთი მეხუთედისთვის ჰყოფნიდა; დანაკლისი პური იქ სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. ინგლისი საბჭოთა კავშირიდანაც ყიდულობს დიდძალ პურს.

ინგლისის სოფლებში მხოლოდ მემამულეები ცხოვრობენ კარგად. წერილი სასოფლო მეურნეობის წარმოება შეიძლება, თუ ბანკები მისცემენ კრედიტს წვრილ მეურნეებს, ასეთი კრედიტი კი გლეხს ცუდ მდგომარეობაში აგდებს, ამას უნდა მივმართო აგრეთვე ის, რომ გლეხი ინგლისში დიდ საიჯარო გადასახადებს იხდის მემამულეების სასარგებლოდ.

ამ აუტანელი მდგომარეობის გამო ინგლისელი ფერმერები (ასე ეძახიან სოფლის მეურნეებს, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული მიწები მემამულეებისაგან) იძულებული არიან თავის გამოკვებისათვის რაც შეიძლება მეტი მოსავალი წაართვან მიწას. ამიტომაც, რომ მოსავლიანობა ინგლისში უფრო მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ინგლისში ფერმერთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ისინი ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

სოფლისმეურნეობის მძიმე პირობები აიძულებს მიწაზე მომუშავეებს გადასახლდნენ ინგლისიდან ამერიკაში, ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებში.

ახლანდელ საუკუნეს „ორთქლისა და ელექტრონის ხანას“ ეძახიან, თითოეული სამრეწველო ქვეყნის ძირითადი სამეურნეო მიღწევები დამოკიდებულია ქვანახშირზე და რკინაზე. ქვანახშირი და რკინა ისეთი მადნებია, რომლებიც ყველგან არ მოიპოვება.

ამ მხრივ ინგლისი ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია, მას აქვს ქვანახშირისა და რკინის აუარებელი მადანი.

ინგლისში ეს მადნები ზღვის მახლობლადაა და ამიტომ შესაძლოა მადარობებიდან პირდაპირ გემებზე დატვირთონ და საზღვარგარეთ წაიღონ.



გარდა ქვანახშირისა და რკინის მრეწველობისა ინგლისში კარგადაა დაყენებული გემების შენება, რასაც მესამე ადგილი უჭირავს მსხვილ მრეწველობაში. ინგლისში მსუბუქი მრეწველობაც კარგადაა დაყენებული, როგორც, მაგალითად, საფეიქრო მრეწველობა, რასაც ინგლისში უძველესი დროიდან მისდევენ. ინგლისში მრეწველობის სხვა დარგებიცაა განვითარებული.

ინგლისის მრეწველობისათვის საჭიროა ნედლი მასალა, რომელიც ინგლისს საზღვაო ფლოტის საშუალებით შემოაქვს თავისი ახალშენებიდან და სხვა ქვეყნებიდან. ინგლისში ნედლ მასალას ამუშავებენ და მერე იმავე ფლოტის საშუალებით გადამუშავებულ სამრეწველო ნაწარმოებთა პროდუქტები გარეშე ბაზრებზე გასასაღებლად გააქვთ.

როგორც უძველეს კაპიტალისტურ ქვეყანაში, ინგლისში მთელი ფაბრიკები, ქარხნები და მალარობები კაპიტალისტების ხელშია.

ვინაიდან ინგლისში ქვეყნის სამეურნეო ხელმძღვანელობა ბურჟუაზიის ხელშია, ამიტომ მთელი პოლიტიკური ძალა-უფლებაც ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

ინგლისში დღემდე მონარქიაა, ე. ი. სახელმწიფოს სათავეში მეფე ითვლება. ნამდვილად კი ინგლისის მეფე არაფერს არ წარმოადგენს, მისი სახელით მართავს მთავრობა, რომელიც ბურჟუაზიისაგან შესდგება.

მთელი სახელმწიფოს ძალა-უფლების აპარატი, აუარებელი ჟურნალ-გაზეთი და ფული ბურჟუაზიის ხელშია; წესის მიხედვით, ინგლისის მთავრობა სდგება იმ პარტიიდან, რომელსაც მეტი წარმომადგენელი ჰყავს თემთა პალატაში. მთავრობა კი — მინისტრთა სახით — ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია.

ინგლისთან დამოკიდებულ ქვეყნებს მართავენ გუბერნატორები, რომელთაც ნიშნავს მინისტრთა საბჭო. ასეთი ურთიერთობაა დამყარებული მეტროპოლიასა და დომინიონთა შორის. დომინიონები ჰქვიათ ინგლისის იმ ახალშენებს, სადაც დასახლებული არიან თვით ინგლისელები და რომლებმაც დროთა განმავლობაში მიიღეს ფართო თვითმართვებლობის უფლება. ასეთი დომინიონებია კანადა, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ნიუფაუნდლენდი. ამათ გარდა დომინიონის მდგომარეობაში იმყოფება სამხრეთ ირლანდეთი.

პოლიტიკურ მუშაობას ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად ორი ძირითადი ბურჟუაზიული პარტია აწარმოებს: კონსერვატორებისა და ლიბერალების. ამ პარტიათა შორის განსხვავება მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში. მაგრამ ეს მაინც არ უშლის ხელს მათ გაერთიანებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უნდა დაიცვან ბურჟუაზიის კლასიური ინტერესები მუშების საწინააღმდეგოდ.

ინგლისის კონსერვატორების წარმომადგენლების სახელები ხშირად გვსმენია ჩვენც — ბოლდუინი, ჩემბერლენი, ჩერჩილი, ხიკსი და სხვები.

ინგლისის მუშათა კლასი უძველესია მთელ ქვეყანაზე. დიდი ხანია, რაც ინგლისში შესდგა პროფესიონალური კავშირები, რომელთაც იქ ტრედ-იუნიონებს ეძახიან. ამ ტრედ-იუნიონებიდან უსდგა პოლიტიკური პარტია, რომელსაც „მუშათა პარტიას“ ეძახიან.

მუშათა კლასის ლიდერები: მაკდონალდი, ტომასი, ვილიამსი, ბრომლეი, პიუ და სხვანი — ბურჟუაზიის მიმდევრები გამოდგენ. როდესაც კაპიტალისტებმა შეტევა დაიწყეს, ლიდერებმა მუშებს უღალატეს.

მიუხედავად ამისა, ინგლისის მუშათა კლასი მაინც გრძნობს თავისი ძალების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საჭიროებას და ამის შედეგია ის, რომ ინგლისის კომუნისტური პარტია დღითიდღე იზრდება და მაგრდება. ინგლისის კომუნისტთა შორის ცნობილი არიან **მერფი, გალახერა, საკლატვალა** (ინგლისის პარლამენტის წევრი) და **კემპმელა** (კომუნისტური გაზეთის რედაქტორი).

1914 წლის მსოფლიო ომში ინგლისი გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ეს გამარჯვება მას ძვირად დაუჯდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ძალზე გაძლიერდა ამერიკის კაპიტალიზმი და მსოფლიო მცურნეობის სათავეში ეს უკანასკნელი მოექცა.

ომამდე დაწყებული ინგლისის მეურნეობის დაცემა დღემდე გრძელდება და ამჟამად მისი დაცემა უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის. ის ქვეყნები, სადაც წინათ თავისი საქონელი გაჰქონდა ინგლისს, მაშინ სასოფლო სამეურნეო ქვეყნებს წმრმოადგენდნენ, ამჟამად კი ისინი სამრეწველო ქვეყნებად გადაიქცენ.

გაძლიერდნენ ინგლისის მოქიშვე სახელმწიფოებიც, როგორც, მაგალითად, საფრანგეთი, რომელსაც ამ ბოლო დროს გერმანიაც მიემატა. ომის შემდეგ უცხო ქვეყნების ბაზრებიც გალარობდა და ამიტომ ინგლისის საქონლის მოთხოვნილება ძალზე დაეცა.

მთლად ნახშირის თვითური ამოღება 1913 წელს ინგლისში 24<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონ ტონას უდრიდა, 1925 წელს კი 20 მილიონ ტონამდე დავიდა.


ფოლადის და თუჯის ჩამოსხმა ყოველწლივ ეცემა და ამიტომ ინგლისი იძულებულია თავისი მრეწველობა შეკვეცოს.

ამიტომ იზრდება უმუშევრობა. 1924 წელს უმუშევართა რიცხვი საშუალოდ 1.150,000 უდრიდა. 1925 წელს კი ეარიცხვი 1.287,000-მდე ავიდა.

სამეურნეო მდგომარეობა აიძულებს ინგლისში გაბატონებულ ბურჟუაზიას, რომ გარეშე პოლიტიკაში გაბედული ნაბიჯები გადასდგას.

ინგლისის განკარგულებაშია ძალზე ძლიერი ფლოტი, რომლითაც ცდილობს შეინარჩუნოს ბატონობა ეგვიპტეში, სპარსეთში, სამხრეთ აფრიკაში და ჩინეთში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას, ცხადია, ინგლისის ბურჟუაზია მტრულადაა



პიონერები უსმენენ რადიოს.

განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ოქტომბერ-  
მა ასწავლა ინგლისის მუშებს, რომ გამარჯვება შე-  
საძლებელია მუშათა კლასისათვის. 1917 წლიდან  
1920 წლამდე ინგლისი აწარმოებდა ნამდვილ შეი-  
არაღებულ თავდასხმას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.  
1921 წლის შეთანხმების შემდეგ ომი დასრულდა,  
და ინგლისის ბურჟუაზია მიხვდა, რომ მისთვის უფრო  
ხელსაყრელია ვაჭრული ურთიერთობის დაკერა სა-  
ბჭოთა კავშირთან.

ინგლისის მუშები, როგორც სხვა კაპიტალის-  
ტური სახელმწიფოების მუშები, თხოულობდნენ, რომ  
იურიდიულად ეცნო ინგლისის მთავრობას ჩვენი მუ-  
შურ-გლეხური არესპუბლიკა. 1924 წლის დასაწყისში,  
როდესაც ძლა-უფლება „მუშათა პარტიის“ ხელში  
გადავიდა, ინგლისის მთავრობამ იცნო საბჭოთა კავ-  
შირი და 1924 წლის 8 აგვისტოს ინგლისსა და  
საბჭოთა კავშირს შორის საერთო და ვაჭრული  
ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ კონსერვატორული  
მთავრობის მოსვლის შემდეგ ხელშეკრულებამ და-  
კარგა თავისი მნიშვნელობა და ამ დროიდან საბჭო-  
თა კავშირი და ინგლისი ურთიერთ შორის „დიპლომა-  
ტიური ომის“ მდგომარეობაში იმყოფებიან.

„დიპლომატიური ომი“ იმაში გამოიხატება,  
რომ ინგლისის მთავრობა ყოველივე ზომას იღებს,  
რათა საბჭოთა კავშირის გარშემორტყმისათვის ნია-  
დაგი მოამზადოს. იგი აწარმოებს მოლაპარაკებას  
ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებთან და ცდილობს მათ  
ამხედრებას საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ.

ინგლისის კაპიტალისტები, მოგების შენარჩუ-  
ნების მიზნით, ამცირებენ მუშათა ხელფასს და ამავე  
დროს სამუშაო დღეს ადიდებენ.

ამისი შედეგი კი ის იყო, რომ მემალაროეთა დიდი  
გაფიცვა მოხდა 1926 წელს, რამაც ექვს თვეს გასტანა.

მემალაროების დამარცხება საქმეს მაინც ვერ გა-  
მოასწორებდა, ვინაიდან სამუშაო ხელფასის დაკლე-

ბას შეეძლო გამოეწვია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებ-  
შიც ხელფასის დაცემა, ეს კი ინგლისისათვის კონ-  
კურენციას ვერ შეამცირებდა.

ინგლისის შეიარაღებული ძალების უმაღლეს  
ხელმძღვანელად მეფე ითვლება. მთავარი როლი სა-  
მხედრო საქმეში სამხედრო მინისტრს ეკუთვნის.

მეტროპოლიის სამხედრო ძალას შეადგენს მუდ-  
მივი [რეგულიარული] ლაშქარი, ტერიტორიალური  
ლაშქარი და მუდმივი ლაშქრობის მარქაფა (რეზერვი).

მუდმივი ჯარის რიცხვი 150,000-მდეა, ტერიტო-  
რიალური ლაშქარი კი 180,000 კაცისაგან შესდგება.

ინგლისში იმულებითი სამხედრო ბეგარა არ  
არსებობს. მთელი ლაშქარი მოხალისეებისაგან შეს-  
დგება; მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ინგლისის  
ლაშქარი საუცხოვოდაა შეიარაღებული. ამ ლაშქარს  
აქვს 500 ტანკა, 2,000 ზარბაზანი, 7,000 ტყვიის-  
მფრქვეველი და 1,200 ჰაერობლანი.

სამხედრო საქმისთვის იხარჯება სახელმწიფოს  
მთელი გასავლის ერთი მეშვიდედი.

ინგლისის შეიარაღებული ძალები ინდოეთშიაც  
ჰყავს. ინდოეთის ჯარებში ოფიცრებად ინგლისელები  
არიან, ვინაიდან ინდოელებს საფესბით ვერ ენ-  
ლობიან.

ინდოეთის მუდმივ ლაშქარში 160,000 კაცია.  
დამხმარე ლაშქარში — 35,000.

ცალკე სახელმწიფოების ჯარებში — 80,000.  
უცხოელთა ჯარების მარქაფაში — 12,000.

დომინიონებში ინგლისის ჯარი სრულიად არ  
მოიპოვება. მათ თავისი მცირეოდენი ჯარები ჰყავთ.

დიდ ბრიტანეთის ხელშია სამხედრო ფლოტის  
ძლიერება, მას მსოფლიოში, ამერიკის შერთებული  
შტატების შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს.

საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი მოწინააღ-  
მდეგე ინგლისია, ამიტომ საჭიროა ჩვენც ვიცნობ-  
დეთ ამ ქვეყანას.

ალ. გორგაძე



# ჩვენი სხოვრება და გუშაობა

## პიონერ-გოგუზავითა პურსები

ს. ა. ლ. კ. კ. შორაპნის სამაზრო კომიტეტის დადგენილებით ა.წ. 13 სექტემბერს მოწყობილ იქნა ქალ. ზესტაფონში პიონერთა კოლექტივების ხელმძღვანელთა და თემბიუროების თავმჯდომარეების გადასამზადებელი კურსები, სადაც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 55 წარმომადგენელმა. აღნიშნული კურსების დაწყებამდე სამბიუროს მიერ გატარებულ იქნა ადგილებზე სათანადო მოსამზადებელი მუშაობა, დაიგზავნა ადგილებზე ღირეპტივი იმის შესახებ, თუ როგორი ამხანაგები უნდა გადმოგზავნათ პიონერ-მომუშავეთა გადასამზადებელ კურსებზე.

მსმენელების გადმოგზავნის დროს, სამაზროკომის ღირეპტივის მიხედვით, მთავარი ყურადღება ექცეოდა თემკომებისა და რაიკომის მიერ მუშათა და მოჯამაგირე პიონერ-მომუშავეების შერჩევას, აგრეთვე კურსებზე გამოწვეულ იქნენ მსმენელებით ემებიდანაც.

სამაზრო კომიტეტის ღირეპტივი ამ საქმეში მთელი 100 პროც. იქნა გამართლებული, თითო თემიდან კურსებზე გამოწვეული იყო 25 მსმენელამდე.

კურსების სწორი წარმატების და მისთვის ხელმძღვანელობის გაწვევით მიზნით გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია.

კურსების მუშაობა დაიწყო ა.წ. 13 სექტემბერს და დამთავრდა 19 სექტემბერს.

კურსების მუშაობა მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის საღირეპტივო პროგრამის საფუძველზე. კურსების მთავარი მიზანი იყო: პიონერ-მომუშავეთა გადამზადება, მათი ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლა, პრაქტიკული მუშაობის წარმოება, ფიზალრდის დარგში მუშაობა და სხვ.

კურსებზე მოსმენილ იქნა სულ 13 ლექცია შემდეგ თემებზე:

„პიონერ-ორგანიზაციის მდგომარეობა და მორიგი ამოცანები“, „ორგანიზაციული დებულება და მუშაობის ახალი ფორმები“, „შინააღმზრდელობითი და გაჯანსაღებითი მუშაობა“, „ფ. კ. მნიშვნელობა“, „თავისუფალი ვარჯიში“, „წონასწორობა“, „ბჯენი“, „პიონერთა თამაშობანი“ და სხვ.



პიონერ-მომუშავეთა კურსების მსმენელები.





აგრეთვე მოსმენილ იქნა ლექციები, როგორც კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, ისე საპოლიტიკანმანათლებლო მუშაობაზე და პიონერ-ამოცანებზე, გასამხედროების, აგრონომიულ, ჰიგიენურ საკითხებზე და სხვ. თითო ლექცია განისაზღვრებოდა 2 საათით. ყველა წაკითხული ლექციის შესახებ სწარმოებდა მსმენელთა თავისუფალი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ამავე დროს ტარდებოდა ზოგიერთი საკითხის პრაქტიკული ცდები და მისი კოლექტიურად დამუშავება. მსმენელთა მთელი შემადგენლობა წარმოდგენილი იყო, როგორც პიონერთა კოლექტივი, დაყოფილი იყო რგოლებად, გამოყოფილი იყო კოლექტივის წინამძღოლი და კოლექტივის საბჭო. საკითხები მუშავდებოდა პრაქტიკული ცდებით, როგორც რგოლებში, ისე კოლექტივების საბჭოში და მთლიანად კოლექტივში. კურსების დამთავრების შემდეგ მოეწყო კურსების მსმენელთა ექსკურსია, გამოცდილების გაზიარებისა და მუშაობის შესწავლის მიზნით, სადაც დათვალა იერე-

ბულ იქნა სანიმუშო კოლექტივები ქ. ზესტაფონში და საქარის საცდელ-საჩვენებელი სადგური.

ზემოაღნიშნულ კურსებზე დამსწრე მსმენელები უსათუოდ საკმაო გამოცდილებით დაბრუნდნენ ადგილებზე და, იმედია, ეს მომზადებული ამხანაგები შეუდგებიან ენერგიულ მუშაობას და მთელი 100 პროც. უზრუნველყოფენ პიონერთა კოლექტივების მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ თემკომები და სათემო ბიუროები ღიად დაინტერესებული შეხვდნენ ამ საქმეს და როდესაც ჰგზავნიდნენ თავის წარმომადგენლებს აღნიშნული კურსების მსმენელებად, თანვე ატანდნენ იმ ხარჯებს, რაც კი სჭირდებოდათ კურსების დამთავრებამდე. ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კურსებმა შესაფერისი გამოცახილი ჰპოვა და ამ საჭირო საქმეს შემდეგშიც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

შ. ლონდაძე.

## მათხოჯის პიონერ-კოლექტივის მუშაობა.

## ჩვენი აზრები.

(წაღვარი)

მათხოჯი კარგა მოზრდილი სოფელია: დაახლოებით 700 კომლი ცხოვრობს. არსებობს 7-წლედ, რომელშიაც თავმოყრილია 500 მოსწავლე ახალგაზრდა. ამიტომ აქ არსებობს მძლავრი პიონერ-კოლექტივი. მათხოჯში პიონერ-კოლექტივი დაარსდა 1925 წლის დამდეგს. უნდა აღინიშნოს, რომ კარგი ხელმძღვანელობით მასში გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა. სისტემატიურად მიმდინარეობდა მეცადინეობა. ასე მიმდინარეობდა 2 წლის განმავლობაში ჩვენი პიონერ-კოლექტივის მუშაობა. დღეს კი რას ვხედავთ? იქ, იმ ორგანიზაციაში, სადაც უწინ გაცხოველებული მუშაობა იყო, დღეს თითქმის ყოველივე მოღუწებულია. რას უნდა მიეწეროს ეს? რა თქმა უნდა, სუსტ ხელმძღვანელობას. არც სათემო ბ. კ. ო. და არც უჯრედი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას. არა აქვთ პიონერებს ისეთი აუცილებელი ნივთები, როგორიცაა: დოლი, საყვირი, ბურთი და, ბოლოს, თუ გნებავთ, რაც მთავარია, დროშა. რით უნდა მიიზიდოს ხელმძღვანელმა პიონერი? რა თქმა უნდა, ის ამ შემთხვევაში უძლურია. ამ გარემოებას ყურადღებას უნდა აქცევდეს ადგილობრივი ა. ლ. კ. კ. უჯრედი. მაგრამ განა მართო უჯრედი დამნაშავე? სრულიადაც არა. აქ დამნაშავეა თემკომიც, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხს. ნახახულების თემის სხვა სოფლებში უფრო უნუგეშო მდგომარეობაა. თითქმის ყველგან პიონერ-კოლექტივები დაშლილია. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ეს ყოველი ნაკლი გამოსწორებულ იქნეს. მათხოჯის ა. ლ. კ. კ. უჯრედმა გამოჰყო ახალი ხელმძღვანელები პიონერთა შორის სამუშაოდ. ენახოთ, რას გააკეთებენ ისინი.

ერთი წელია, რაც ჩამოყალიბდა წაღვარის ნ. პ. კოლექტივი. ის დაარსდა ფორმალურად, ისე კი არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა.

ორგანიზაციამ ბორჯომიდან მოიწვია ხელმძღვანელი, რომლის ვალდებულებასაც შეადგენდა კოლექტივში მუშაობის წარმოება. ხელმძღვანელმა, მართალია, შეადგინა რგოლები და ჩაატარა რამდენიმე საუბარი, რის შემდეგ კოლექტივი სწრაფად გაიზარდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ხელმძღვანელმა მიატოვა კოლექტივი. პიონერებმა ამ ხნის განმავლობაში ვერ შესძლეს ვერც გაზეთის გამოცემა და ვერც სხვა რაიმე საზოგადოებრივი მუშაობის წარმოება, სამკითხველოც, სათანადო ლიტერატურის უქონლობის გამო, ვერ აწვდიდა პიონერებს პოლიტიკურ და საბავშვო აღმზრდელი მნიშვნელობის წიგნებს, ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაციამაც ყურადღება არ მიაქცია ამ მდგომარეობას, რამაც გამოაწვია კოლექტივის მისუსტება. ამჟამად კოლექტივში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს და იგი თანდათანობით ირღვევა და იშლება. კოლექტივს არცერთი საქმიანი ექსკურსია არ მოუწყვია, მას არ გააჩნია სამეცადინო დარბაზი, არც ხელსაწყოები და არც მოწყობილია რომელიმე კუთხე. მხოლოდ ზაფხულზე ჩამოსულმა კოლექტივმა იკისრა მისი შეფობა, დადგა წარმოდგენა და შემოსული თანხა მთლიანად გადასცა კომკავშირის ორგანიზაციის პიონერთა კოლექტივის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ხელმძღვანელი მაინც არ გამოჩნდა. კოლექტივი ისევ პირვანდელ მდგომარეობაშია.

თემკომო, მოხედე კოლექტივს, თორემ იგი მთლად დაიშლება.

კარ. მელაძე.

გოგი ლომიძე



### უცხოელი პიონერების სიზღარბი.

ჩვენი ზეიმი ბრძოლაა, ბრძოლა,  
ჩვენ მასში ვხედავთ მომავლის ხსნას!  
მტრების მუქარა ვერ შეგვაშინებს,  
მიზანს ყოველთვის შევწირავთ თავს.

მომავალ ბრძოლებს მოველოდებით,  
ვერ შეგვაშინებს მღელვარე ზღვა.  
ბარიკადებზე ცროშას აღვმართავთ,  
მოესპობთ მონობის ხავსიან დაღს!..

საბჭოთა ძმებთან ვიბრძოლებთ ერთად,  
ჩვენ გამარჯვება ბოლომდე გვწამს.  
კლდოვან მკერდებზე სისხლით დავწერეთ,  
რომ მტრებზე ვიყრით დიდი ხნის ჯავრს!

აჰა, მოვდივართ, მოგვეცით ხელი,  
თქვენც, მეგობრებო, იყავით მზად!  
წითელ რიგებში გავერთიანდეთ  
და მტრის ბანაკი ვაქციოთ მტვრად!..

ა. ბილანიშვილი

### 25 ოქტომბერი


ოცდახუთმა ოქტომბერმა  
მოჰკლა ნიკო რომანოვი!  
და ძირს დასცა ის მტარვალნი,  
ვინ სტანჯავდენ მშრომელებსა.

დღეს კი გლეხი თავის ყანას  
თავისუფლად თოხნის, მარგლის,  
მუშა ჩაქუჩს გრდემლზე არტყამს,  
ქედავს რკინას, თოხს და ნამვალს.

გოგი ამაშუკელი

### ჟურნალ „პიონერს“.

ორი წლისა ვაქცავთ  
მიველოცით „პიონერსა“,  
„ოქტომბრელის“ უფროს ძმასა,  
მასა და საყვარელსა.



ორი წელი შეუსრულდა,  
არსებობს საყვარელი,  
სულ ქველა მას ესალმება —  
ჩვენ კარლო, ჩვენი ლელი!..

მოგუაროთ ამ ჩვენს ჟურნალს,  
სიხარულით სულ ვიმღეროთ,  
ვიზარდოთ და მომავალში  
„პიონერში“ ჩვენც დავწეროთ.

გივი მახათაძე.

### გერცხლავი ვართ

მერცხლები ვართ მომავლის  
და მჭედლები კომუნიზმის,  
უშიშარი ჩვენიხმები  
სად გინდათ, რომ არ გაისმის.

ვშრომობთ, ვმღერით და სავსე გვაქვს  
ბრძოლებისთვის პაწა გული,  
ნამდვილად გვწამს — შევიყვაროთ  
ქვეყნად ყველა დაჩაგრული.

პიონერიც მიტომ გვქვებიან,  
რომ ვიშრომოთ მარად, მარად,  
თან ვიბრძოლოთ ახალ ქვეყნის  
და მშომელთა გასახარად!..

ლ. ზაკუკაშვილი.

ლენინის პარტიის და კომკავშირის ხელშეწყობით  
6 წლის განმავლობაში ჩვენი პიონერ-ორგანიზაცია  
გადაიქცა. 85,754 წევრიან ორგანიზაციად.

# გზავრული.



მუსიკა: ვ. კოკლაძის

*Allegretto.*

5 კე ა კე მივ-ლი-ვანი რინ ერი(ი)რ(ი) სამ(ი) თხ(ი) მივ - ღი  
ვა - შა! ვა - შა! და - შა!

ვანი რინ - ნა ერი(ი) თხ(ი) სამ(ი) თხ(ი) რინ - თხ(ი) რე - კე - ღი  
ვალ - ნი ვანი და - რანს მყ - ლე - ღი

ვა - შა! ვა - შა! ვი - მყ - ნიზ - მან  
ჩვეს მე - ღი - რანს

ვა - შა! ვა - შა! ვი - მან რე - თხ(ი) რინ - ნა  
რინ - თხ(ი) მან

რინ რინ - თხ(ი) ნა მან - რინ რე - ა რე  
მან

*d.c.*

მივ - ღი - ვანი რინ რე - ა რე ვა - შა! ვა - შა!  
ვა - შა!

*Fine*

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ შ უ რ ნ ა ლ ი ←

მოზარდობის **პიონერი** წელიწადი III

შურნალი ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

შურნალი ღირს გადაგზავნით.

წელიწადში — 5 მან.  
ექვს თვეს — 3 მან.  
სამ თვეს — 1 მაპ. 50 კან.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

გისაგარტი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელები (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქსობგრაული“-ს რედაქცია.

კვლავობრივი — სარკდაქსიო პოლეგია.